



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



UN for  
Persons with  
Disabilities  
in Georgia



# შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ორიენტირებული ადგილობრივი ბიუჯეტირება

გზამკვლევი

მომზადდა ექსპერტმა  
**მიხეილ კუკავამ**  
ივნისი, 2022



# შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ორიენტირებული ედიტორიული ბიუჯეტირება

გზამკვლევი

მომზადდა ექსპერტმა

**მიხეილ კუკავაძე**

ივნისი, 2022

# სარჩევი

<b>შესავალი</b> .....	<b>3</b>
<b>1. ადგილობრივი ბიუჯეტირების შედეგებზე ორიენტირება: მუნიციპალური სამსახურების როლი</b> .....	<b>5</b>
1.1. რა არის პროგრამული ბიუჯეტი .....	6
1.2. ადგილობრივი ბიუჯეტის სამი უმნიშვნელოვანესი ნაწილი.....	6
1.3. სახელმწიფო ბიუჯეტის სამი უმნიშვნელოვანესი ნაწილი.....	8
1.4. შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირება შშმ პირებისთვის .....	11
1.5. მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ადვოკატირება.....	12
<b>2. ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტების კალენდარი</b> .....	<b>16</b>
2.1. ცენტრალიზებულად დადგენილი ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტების კალენდარი .....	16
2.2. ადგილობრივი თვითმმართველობების შიდა საბიუჯეტო კალენდარი ..	22
2.3. რა დამატებითი წყაროები სჭირდებათ მუნიციპალიტეტებს შშმ პირებზე ორიენტირებულ ბიუჯეტირებაში .....	23
<b>3. შედეგების გაზომვა ქართული და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით</b> .....	<b>24</b>
<b>4. კითხვა-პასუხი</b> .....	<b>27</b>

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის (EU), გაეხოს განვითარების პროგრამის (UNDP) და მდგრადი განვითარების მიზნების ეხთობრივი ფონდის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სხუდად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, რომ იგი ახ გამოხატავდეს ევროკავშირის, გაეხოს განვითარების პროგრამისა და მდგრადი განვითარების მიზნების ეხთობრივი ფონდის შეხედულებებს.

## შესავალი

კომუნისტური ოკუპაციის რეჟიმისგან საქართველოს წილად ხვდა ისეთი მძიმე პრაქტიკაც, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდეგში შშმ) პირთა ინსტიტუციონალიზაცია და გარიყულობა (მაგ: ეფექტიანი დამხმარე მექანიზმების არარსებობა, ინფრასტრუქტურული პრობლემები და სხვა).

საქართველოს რატიფიცირებული აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD), რომელიც ძალაში შევიდა 2014 წელს. ამ დოკუმენტით ქვეყანამ აიღო სამართლებრივი ვალდებულება, რომ ყველა შშმ პირს შეეძლოს სარგებლობა ადამიანის უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებებით. 2020 წელს მიღებული კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კიდევ ერთი დადებითი ნაბიჯი იყო მათი უფლებებისა და კეთილდღეობის დასაცავად. კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ, გარკვეულწილად გაუმჯობესდა სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო: დაინერგა დამხმარე მექანიზმები შშმ პირთა საზოგადოებაში ჩასართავად, დაიწყო მათი სოციალურ მოდელზე გადასვლისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, ამოქმედდა სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის პროგრამები.

ამ ცვლილებების მიუხედავად, შშმ პირთა ყოველდღიური ცხოვრება საქართველოში მხოლოდ მცირედით გაუმჯობესდა. ისინი რჩებიან ერთ-ერთ ყველაზე მონყვლად ჯგუფად, რომელსაც შეზღუდული აქვს წვდომა განათლებაზე, დასაქმებასა და ჯანდაცვაზე, და კვლავაც აწყდებიან სტიგმასა თუ ცრურწმენებს. შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სისტემა ვერ გასცდა სამედიცინო მოდელს და უმეტესწილად უგულვებელყოფს ინდივიდუალურ ფუნქციონირებას, ასევე, იმ გარემო ფაქტორებს, რომლებიც ძირს უთხრის აღნიშნულ პირთა კეთილდღეობას.

არასაკმარისი ფინანსური რესურსის გამო, ქვეყანა შშმ პირებს ვერ აწვდის სათანადო მომსახურებასა და სოციალურ დახმარებას. სერვისები ყველა მუნიციპალიტეტში თანაბრად არ მოიცავს ყველა ჯგუფს: ინტელექტუალური და ფსიქოსოციალური შეზღუდვის მქონე და თბილისს გარეთ მცხოვრები შშმ პირები ყველაზე მცირე მხარდაჭერას იღებენ. რეგულაციებისა და სტანდარტების დასაწერად გატარებული რეფორმების მიუხედავად (რომელთა მიზანი იყო უნივერსალური დიზაინის შექმნა), მისაწვდომობა კვლავ რჩება მთავარ გამოწვევად.

საჯარო/კერძო ინფრასტრუქტურა და მომსახურებები უმეტესწილად კვლავაც მიუწვდომელია, ამიტომ ბევრი შშმ პირი აგრძელებს ფიზიკური და სენსორული დაბრკოლებებით ცხოვრებას საზოგადოებრივი ყოფის ყველა ასპექტში. ისინი, ძირითადად, ვერ მონაწილეობენ ბიუჯეტირების პროცესში და გადაწყვეტილებები მიიღება შესაბამისი მონაცემების/მტკიცებულებების გარეშე. ხშირად მონაცემები შშმ პირთა საჭიროებების შესახებ ცალკე არ არის გამოყოფილი, ხოლო შეზღუდულ შესაძლებლობებზე განეული დანახარჯები, ზრდის მიუხედავად, არ არის შედეგზე ორიენტირებული.<sup>1</sup>

წინამდებარე გზამკვლევი მუნიციპალიტეტებს დაეხმარება ამ პრობლემათა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტაში.

სახელმძღვანელოს შემუშავებაში მონაწილეობდნენ თბილისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტთა მერიების საფინანსო და სხვა სამსახურები, ასევე, ამ რეგიონებში მცხოვრები შშმ პირები. შესაბამისად, რეალური თუ ჰიპოთეტური მაგალითები მოყვანილია აღნიშნული ორი მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პრაქტიკიდან, თუმცა გამოსადეგი იქნება ყველა მუნიციპალიტეტისთვის. თბილისის ბიუჯეტი შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირების საუკეთესო მაგალითია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ აღმოსავლეთ ევროპაში, მარნეულში კი ფინანსური მართვის კარგი პრაქტიკა ნოყიერ ნიადაგს ქმნის შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირებისთვის.

გზამკვლევის პირველი თავი მიმოიხილავს ადგილობრივი ბიუჯეტირების შედეგებზე ორიენტირების ძირითად საკითხებს, მათ შორის, მუნიციპალური სამსახურების როლს; მე-2 თავში მოცემულია ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტების საბიუჯეტო კალენდარი; მე-3 თავი ქართული გამოცდილებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის კონკრეტული მაგალითებით განმარტავს, თუ რას ნიშნავს შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირება; ხოლო მე-4 თავში ბიუჯეტირების ძირითადი ცნებები ახსნილია კითხვა-პასუხის ფორმით.

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის სიტუაციური ანალიზი საქართველოში, 2021 წელი. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.undp.org/georgia/publications/situation-analysis-rights-people-disabilities-georgia-2021>

### **გზამკვლევის მიზანია:**

- I. მუნიციპალურ სამსახურებს **დაეხმაროს** შუამდგომლობები ორიენტირებული, საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისი ბიუჯეტირების დანერგვაში: კერძოდ, ამ ჯგუფის საჭიროებები ბიუჯეტში აისახოს პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპებზე, როგორცაა:
  - ბიუჯეტის მომზადება
  - განხილვა
  - შესრულება
- II. მუნიციპალურ სამსახურებს **გააცნოს**:
  - მათი როლი ბიუჯეტის შინაარსის განსაზღვრაში: გზამკვლევი როგორც საფინანსო-ეკონომიკურ, ისე ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და სხვა მუნიციპალურ სამსახურებს დაეხმარება, რომ შეადგინონ თავიანთი პროგრამების/ქვეპროგრამების შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტები. ამიტომ, სახელმძღვანელოში მომხილულია ბიუჯეტირების ისეთი საკითხებიც, რომლებიც იციან საფინანსო-ეკონომიკურმა სამსახურებმა, მაგრამ შესაძლოა არ იცოდნენ სხვა უწყებებმა.
  - შუამდგომლობები ორიენტირებული ბიუჯეტირებისა და საბიუჯეტო ადვოკატირების კარგი საერთაშორისო პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება მტკიცებულებებს და გამოიყენება საქართველოში (მაგ: პრობლემების იდენტიფიცირება და მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრა).
  - როგორ მოიძიებენ მუნიციპალური სამსახურები საბიუჯეტო ადვოკატირებით ფონდებს დამატებითი დაფინანსების მისაღებად.
  - რისი მიღწევა შეიძლება კარგი საერთაშორისო პრაქტიკის გადმოღებით.
  - როგორ შეუძლია ბიუჯეტირებას მუნიციპალური სამსახურების მიყვანა კონკრეტულ შედეგ(ებ)ამდე.
- III. მუნიციპალურ სამსახურებს **შეახსენოს**:
  - რა არ უნდა დარჩეს მათი ყურადღების მიღმა საბიუჯეტო კალენდრის საკვანძო თარიღებში - კერძოდ, ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვის, დამტკიცების, შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის პროცესში;
  - რომელი წყაროებია მნიშვნელოვანი შუამდგომლობები ორიენტირებული ბიუჯეტირებისთვის და როგორ შეუძლიათ მათი გამოყენება მუნიციპალურ სამსახურებს.
- IV. შუამდგომლობებს, მათ წარმომადგენლობით ორგანიზაციებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიანოდოს იდეები საბიუჯეტო ადვოკატირების, მაგალითად, შუამდგომლობების დასაქმების ხელშეწყობისა და სხვა საკითხების შესახებ (იხ. ქვემოთ, ქვეთავი 1.5 და თავი 3).
- V. **ნაახალისოს** შეჯიბრებითობის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება მუნიციპალიტეტებსა და ცენტრალურ მთავრობას შორის.
- VI. ყველა დაინტერესებული მხარე **დააფიქროს** საკუთარ როლზე საბიუჯეტო პროცესში.

# 1. ადგილობრივი ბიუჯეტირების შედეგებზე ორიენტირება: მუნიციპალური სამსახურების როლი

სწორედ ამ საკმარის ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესის ნაწილია შუამდგომლობები ორიენტირებული ბიუჯეტირება. ამიტომ, ადგილობრივი ბიუჯეტირების სათანადოდ გასაგებად, გზამკვლევი მიმოიხილავს მის ორგანიზაციულ და შინაარსობრივ მხარეებს.

**ორგანიზაციული მხარე:** ადგილობრივი ბიუჯეტირების პროცესში მუნიციპალური სამსახურების როლი შეიძლება შევადაროთ სამინისტროთა როლს: ცენტრალურ დონეზე ბიუჯეტის შინაარსს სწორედ სამინისტროები განსაზღვრავენ, ვინაიდან ფინანსთა სამინისტროს არ აქვს (და არც უნდა ჰქონდეს) საამისოდ საჭირო დარგობრივი კომპეტენცია. ამ უწყებას, დარგობრივ კოორდინატორთა მეშვეობით, შეუძლია ბიუჯეტის შინაარსის გაგება და დაფინანსების კორექტირება, თუმცა არა დადგენა. ეკონომიკური ზრდის პროგნოზზე დაყრდნობით, იგი განსაზღვრავს მთლიან საბიუჯეტო რესურსს და ე.წ. „ჭერს“ სამინისტროებისთვის - მაქსიმალურს რესურსს, რომლის დახარჯვაც შეუძლია ერთ მხარჯვად დაწესებულებას წლის განმავლობაში.

ადგილობრივად მსგავს როლს ასრულებენ მუნიციპალიტეტთა საფინანსო სამსახურები. მაგალითად, თბილისის მერიის ქალაქის მთავრობის წევრებისგან იქმნება კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს ბიუჯეტის კურატორი მერის მოადგილე. მხარჯვები წარმოადგენენ გასულ წელს დამტკიცებული პრიორიტეტების დოკუმენტის შესაბამისად შედგენილ საბიუჯეტო განაცხადებს. კომისია ბიუჯეტის პროექტს განიხილავს საბიუჯეტო ცვლილებების ყველა ეტაპზე, რის შედეგადაც განსაზღვრავს პრიორიტეტებს. ჭერებში ცვლილებების შეტანის შემდეგ, რესურსები გადაანაწილდება საჭიროებისამებრ.

ფინანსთა სამინისტროს მსგავსად, არც ამ სამსახურებს აქვთ (და არც უნდა ჰქონდეთ) ბიუჯეტის შინაარსის დასადგენად საჭირო კომპეტენცია, თუმცა, სამინისტროსგან განსხვავებით, მათ ხშირად სწორედ ამის გაკეთება უხდებათ.

შესაბამისად, საფინანსო სამსახურის ამჟამინდელი კომპეტენციის გათვალისწინებით, გზამკვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მუნიციპალურ სამსახურებს დაანახოს მათი როლი ბიუჯეტის შინაარსის განსაზღვრაში. კერძოდ, ეს არის:

1. გაზომვადი შუალედური და საბოლოო შედეგების ინდიკატორთა განსაზღვრა, რათა ფინანსურმა სამსახურებმა კრიტიკულად გადახედონ მუნიციპალური სამსახურების მიერ განსაზღვრულ ინდიკატორებს და შეძლონ მათი ორიენტირება/გადაორიენტირება შედეგზე;
2. ბიუჯეტის შინაარსის მორგება ფინანსურ რესურსებზე;
3. ბიუჯეტის რედაქტირება ამ მიზნებისთვის.

**შინაარსობრივი მხარე:** ეს ნაწილი გულისხმობს დასახარჯი რესურსის მიზმას გაზომვადი შუალედური და საბოლოო შედეგის ინდიკატორებზე, რასაც გზამკვლევი დაწვრილებით მიმოიხილავს.

როგორც აღინიშნა, შუამდგომლობები ორიენტირებული ბიუჯეტირება შედეგებზე ორიენტირებული ადგილობრივი ბიუჯეტირების ნაწილია. თუმცა, კარგი საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ქვეყნებს არ აქვთ ერთიანი მიდგომა ამ ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესის მიმართ: ისინი ბიუჯეტირების გაუმჯობესებას ცდილობენ არა ერთდროულად ყველა მიმართულებით, არამედ ცალკეულ სფეროებში (მაგ: შესაძლებელია შუამდგომლობები ორიენტირებული ბიუჯეტირება უფრო ადრე/გვიან გაუმჯობესდეს, ვიდრე სკოლამდელი განათლების, სკრინინგისა და სხვა მიმართულებების).



## 1.1. რა არის პროგრამული ბიუჯეტი

არაპროგრამული (კონვენციური) ბიუჯეტისგან<sup>2</sup> განსხვავებით, პროგრამული ბიუჯეტი აჩვენებს, თუ როგორ აპირებს მთავრობა საკუთარი მიზნების განხორციელებას და რომელი შედეგები მიუთითებს მათ მიღწევად. საშუალოვადიანი საბიუჯეტო ციკლი საქართველოში ოთხწლიანია. შესაბამისად, პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერაში ძირითადი ინფორმაცია წარმოდგენილია როგორც დასაგეგმი, ისე შემდგომი სამი წლისთვის, რაც იძლევა განვლილი წლის მომავალ წლებთან შედარების საშუალებას.<sup>3</sup> პროგრამული ბიუჯეტი შედგება პროგრამებისგან, რომლებიც, ჩვეულებრივ, ოთხ წლი-წადში უნდა განხორციელდეს; ეს პროგრამები კი, თავის მხრივ, მოიცავს 12 თვეში განსახორციელებელ ქვეპროგრამებს.

### პროგრამული ბიუჯეტი:

- **აგებულია** არა მხარჯავ დაწესებულებებზე, არამედ მათ პროგრამებზე (მაგ: ფული გაიცემა არა მხარჯავ დაწესებულებაზე - ვთქვათ, ჯანდაცვის სამინისტროზე - არამედ საყოველთაო ჯანდაცვის ან სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის ქვეპროგრამებზე).
- **აჩვენებს**, რომელ მიზანს (და არა უწყებას) ხმარდება ფული.
- **წარმოგვიდგენს** პრიორიტეტებსა და მიზნებს პროგრამული ბიუჯეტის მოქმედების მთელი პერიოდისთვის.
- მიზნებსა და დაგეგმილ შედეგებთან **აკავშირებს** ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ქვეპროგრამის ფარგლებში, ანუ 12 თვის განმავლობაში (მაგ: ორი სხვადასხვა პუნქტის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა).
- **განსაზღვრავს** შუალედურ (12 თვე) და საბოლოო (4 წელი) შედეგებს.

## 1.2 ადგილობრივი ბიუჯეტის სამი უმნიშვნელოვანესი ნაწილი

ადგილობრივი ბიუჯეტი შედგება სამი უმნიშვნელოვანესი ნაწილისგან:

**თავი I.** შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება;

**თავი II.** შემოსავლები;

**თავი V.** პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერა და სახსრები.

თითოეული მათგანი ადგილობრივ ბიუჯეტში, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ამავე რიგითობითა და ნუმერაციით. ქვემოთ ეს თავები მიმოხილულია კონკრეტული მაგალითების თანხლებით:

2. არაპროგრამული ბიუჯეტი საქართველოში ცენტრალურ დონეზე არსებობდა 2009 წლამდე, მუნიციპალიტეტებში კი - 2013 წლამდე, სანამ ქვეყანა პროგრამულ ბიუჯეტირებაზე გადავიდოდა. პროგრამული ბიუჯეტისგან განსხვავებით, არაპროგრამული ბიუჯეტი აგებული იყო მხარჯავ დაწესებულებებზე და არა მათ პროგრამებზე (მაგ: ფული იყოფოდა არა საყოველთაო ჯანდაცვის ან სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების ქვეპროგრამასთან, არამედ მხარჯავ დაწესებულებასთან - მაგალითად, ჯანდაცვის სამინისტროსთან).

3. სახელმწიფო ბიუჯეტში ეს ცალკე პროგრამული დანართია, ხოლო მუნიციპალიტეტთა ბიუჯეტში წარმოდგენილია ცალკე მუხლად (მაგ: 2022 წლის ბიუჯეტში ამ მუხლის სახელია 2022-2025 წლების პრიორიტეტები და პროგრამები/ქვეპროგრამები).

**1.2.1. თავი I**

**ცხრილი 1**

**მაგალითი 1:** თავი I, მუხლი 2: მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

**თანხა ათას ლარებში**

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	სულ	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	34082,1	42496,0	34752,2	7743,8	46769,2	39308,9	7460,3
შემოსავლები	33274,9	41616,9	33873,0	7743,8	46200,7	38740,4	7460,3
არაფინანსური აქტივების კლება	807,1	879,2	879,2	0,0	568,5	568,5	0,0
გადასახდელები	34565,6	38915,3	31720,2	7195,1	55560,4	47180,9	8379,4
ხარჯები	19241,8	23322,1	22396,3	925,8	28070,1	27070,4	999,7
არაფინანსური აქტივების ზრდა	15173,7	15530,4	9261,2	6269,3	27427,6	20047,9	7379,8
ვალდებულებების კლება	150,1	62,7	62,7	0,0	62,7	62,7	0,0
ნაშთის ცვლილება	-483,5	3580,8	3032,0	548,7	-8791,2	-7872,0	-919,1

**1.2.1.1. შემოსულობები**

შემოსულობებში იგულისხმება ის მთლიანი სახსრები, რომელთა მიღებასაც მთავრობა აპირებს წლის განმავლობაში, კერძოდ:

- შემოსავლები (ეს არის შემოსულობების ნაწილი და არა - როგორც ხშირად ჰგონიათ - ის მთლიანი სახსრები, რომელთა მიღებასაც მთავრობა გეგმავს წლის განმავლობაში);
- არაფინანსური აქტივების კლება (პრივატიზაცია);
- ფინანსური აქტივების კლება (მთავრობის მიერ გაცემული სესხებისა და დებიტორული დავალიანების დაფარვა);<sup>4</sup>
- ვალდებულებების ზრდა: მთავრობის მიერ საგარეო და საშინაო ვალის აღება.

ფინანსური აქტივების კლება და ვალდებულებების ზრდა არ ჩანს მარნეულის ბიუჯეტში, რადგან ეს მუხლი მუნიციპალიტეტებს, ჩვეულებრივ, არ აქვთ, განსხვავებით ცენტრალური ან თბილისის ბიუჯეტისგან.

**თუ ადგილობრივ ან სახელმწიფო ბიუჯეტში შეგხვდებით ხაიმე ცნება ან ტეხმინი, ხომელიც ამ გზამკვლევაში ახ ახის ახსნილი, ან ხომლის გასაგებადაც გჭირდებათ დამატებითი ინფორმაცია, გამოიყენეთ ფინანსთა მინისტრის 99-ე ბიძანება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ (საჯახო ფინანსების ფუძემდებელი დოკუმენტი საქართველოში). აქ იპოვით პასუხს უამრავ კითხვაზე, საბიუჯეტო ტეხმინთა სხვადასხვა საკუთარ განმარტებასთან ერთად. თუ ბიძანებაში ხომელიც ტეხმინის განმარტება გაუგებარი იქნება ეხით საკუთარ განმარტებებს, მოძებნეთ მისი ადგილობრივი ახსნა.**

**1.2.1.2. გადასახდელები**

ეს არის მთელი ფული, რომელსაც მთავრობა წლის განმავლობაში ხარჯავს, კერძოდ:

- ხარჯები;
- არაფინანსური აქტივების ზრდა: 500 ლარისა და მეტი ღირებულების ქონების შეძენა, რომელსაც აქვს 1 წელზე მეტი საექსპლუატაციო ვადა;

4. ფინანსური აქტივებისა და დებიტორული დავალიანების განმარტებები იხილეთ კითხვა-პასუხის თავში, ანბანური რიგის მიხედვით.



- ფინანსური აქტივების ზრდა (ძირითადად, სესხის გაცემა მთავრობის მიერ);
- ვალდებულებების კლება: ვალის გადახდა.

### 1.2.1.3. ნაშთის ცვლილება (დაგროვება და გამოყენება)

ამ საკითხზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ, კითხვა-პასუხის თავში, შესაბამისი ანბანური საძიებლის მიხედვით.

### 1.2.2. თავი II - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

#### ცხრილი 2

**მაგალითი 2:** თავი II, მუხლი 3. მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

#### თანხა ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	საკუთარი შემოსავლები	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	33274,9	41616,9	33873,0	7743,8	46200,7	38740,4	7460,3
გადასახადები	18914,4	24188,7	24188,7	0,0	26969,8	26969,8	0,0
გრანტები	9340,4	8293,8	550,0	7743,8	7714,4	254,1	7460,3
სხვა შემოსავლები	5020,1	9134,3	9134,3	0,0	11516,5	11516,5	0,0

როგორც ახსნილია კითხვა-პასუხის განყოფილებაში (თავი 4), სხვა შემოსავლები მიიღება შემდეგი წყაროებიდან: პროცენტები, დივიდენდები, რენტა, სანქციები, ჯარიმები, საურავები, ადმინისტრაციული მოსაკრებლები, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება, ჰუმანიტარული დახმარებები და სხვა.

### 1.2.3. თავი V - ბიუჯეტის პრიორიტეტები ოთხნობიანი პერიოდისთვის (მაგ: პროგრამები/ქვეპროგრამები 2022-2025 წლებისთვის)

აქ მოცემულია ყველა ადგილობრივი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნება (დაფინანსება).

## 1.3. სახელმწიფო ბიუჯეტის სამი უმნიშვნელოვანესი ნაწილი

### 1.3.1. I თავი

მოცემულია შემოსულობები და გადასახდელები (შემოსულობებისა და გადასახდელების განმარტებები დაწვრილებით იხ. ქვეთავში 1.2.1.1 და თავში 4).

### 1.3.2. VI თავი

წინა ორი წლისა და მიმდინარე წლის დაფინანსება ჩაშლილია ხარჯებად, მხარჯავი დაწესებულებების პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიხედვით (მათ შორის, შრომის ანაზღაურებად და არაფინანსურ აქტივებად). აქვეა ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამებისთვის მიღებული გრანტები და აღებული კრედიტები.

### 1.3.3. ბიუჯეტის პროგრამული დანართი

სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი ნაწილი აქცევს სახელმწიფო ბიუჯეტს პროგრამულად. როგორც აღვნიშნეთ, ამ დანართში ახსნილია, თუ როგორ აპირებს მთავრობა თავისი მიზნების განხორციელებას და რა შედეგები მიუთითებს მათ მიღწევაზე.

#### **ბიუჯეტის პროგრამული დანართი:**

- i. **წარმოგვიდგენს** საბოლოო (პროგრამების) და შუალედურ (ქვეპროგრამების) შედეგებს.
- ii. **განსაზღვრავს** პრიორიტეტებსა და მიზნებს პროგრამული ბიუჯეტის მოქმედების მთელი პერიოდისათვის. პროგრამული ბიუჯეტი შედგება პროგრამებისგან, რომლებიც, ჩვეულებრივ, ოთხ წელიწადში უნდა განხორციელდეს; ეს პროგრამები კი, თავის მხრივ, მოიცავს 12 თვეში განსახორციელებელ ქვეპროგრამებს. პროგრამებს აქვს ოთხნიშნა კოდი, ქვეპროგრამებს კი – ექვსნიშნა ან რვანიშნა, იერარქიის მიხედვით. მაგალითად:
  - ▶ 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში (იხ. მე-6 თავი) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის კოდია 27 03, სადაც 27 არის ჯანდაცვის სამინისტროს კოდი, ხოლო 03 - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის რიგითი ნომერი.
  - ▶ ამავე პროგრამის ნაწილია მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამა, კოდით 27 03 01. ამ შემთხვევაში 03-ის გამოწერა მიუთითებს, რომ ეს ქვეპროგრამა ეკუთვნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამას (27 03), ხოლო 01 არის ქვეპროგრამის რიგითი ნომერი. ანალოგიურად იშიფრება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამაც (27 03 02).
  - ▶ დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ქვეპროგრამის კოდი 27 03 02 01 ნიშნავს, რომ იგი ეკუთვნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამას (27 03) და ამ პროგრამაში შემავალი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამის (27 03 02) ნაწილია.
- iii. მიზნებსა და დაგეგმილ შედეგებთან **აკავშირებს** ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ქვეპროგრამის ფარგლებში, ანუ 12 თვის განმავლობაში (მაგ: ორი სხვადასხვა პუნქტის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა).
- iv. **განსაზღვრავს** გაზომვად შუალედურ (12 თვე) და საბოლოო (4 წელი) შედეგებს:
  - ▶ შუალედური შედეგი მიიღწევა ქვეპროგრამის ფარგლებში, ანუ 12 თვის განმავლობაში. ეს შეიძლება იყოს:
    - სიკვდილიანობის შემცირება სამედიცინო მომსახურების უკეთესი ხელმისაწვდომობის გამო;
      - გაუმჯობესებული მიმოსვლა ამ ორ პუნქტს შორის და სხვა.
  - ▶ საბოლოო შედეგი მიიღწევა პროგრამის ფარგლებში, ანუ 4 წლის განმავლობაში. ეს შეიძლება იყოს:
    - სიკვდილიანობის შემცირება ორ პუნქტს შორის გაუმჯობესებული მიმოსვლით და სამედიცინო მომსახურების უკეთესი ხელმისაწვდომობით ოთხწლიან პერსპექტივაში;
    - ეკონომიკური აქტივობის ცვლილება (ზრდა, კლება), გზის მოწყობამდე არსებულ (საბაზისო) მონაცემთან შედარებით.
- v. **გვანვდის** საბაზისო მონაცემებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია პროგრამის/ქვეპროგრამის განხორციელებით მიღებული შედეგების შედარება მანამდე არსებულ მდგომარეობასთან. ამ მონაცემთა გარეშე, შეუძლებელი იქნება პროგრამული ბიუჯეტით გატარებულ ღონისძიებათა შედეგების დანახვა. მაგალითად:
  - ▶ შუალედური შედეგის ინდიკატორი შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტის ორ პუნქტს შორის გადაადგილებულ პირთა რაოდენობა გზის მოწყობამდე არსებულ (საბაზისო) მონაცემთან შედარებით;

- ▶ საბოლოო შედეგის ინდიკატორი შეიძლება იყოს ეკონომიკური აქტივობის დონე მუნიციპალიტეტის ორი პუნქტის დაკავშირების შემდეგ, გზის მოწყობამდე არსებულ (საბაზისო) მონაცემთან შედარებით.

### 1.3.3.1. ინდიკატორები

შუალედური და საბოლოო შედეგის ინდიკატორები განვიხილოთ სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვებზე ზრუნვის (27 02 03) და საყოველთაო ჯანდაცვის (27 03 01) ქვეპროგრამების საფუძველზე.

ცენტრალური ბიუჯეტის სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვებზე ზრუნვის (27 02 03) ქვეპროგრამის მიზანია, გაუმჯობესდეს შშმ პირებისა (მათ შორის, ბავშვების) და ხანდაზმულების, ასევე, მზრუნველობამოკლებული, სოციალურად დაუცველი, მიუსაფარი და მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების ფიზიკური და სოციალური მდგომარეობა და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

მაგალითად, ქვეპროგრამის შუალედური შედეგისთვის:

- ცუდი ინდიკატორია** სოციალური სერვისებითა და პროდუქტებით უზრუნველყოფილ ბენეფიციართა კმაყოფილება, როცა მის გასაზომად არანაირი ღონისძიება არ ფიგურირებს. შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირების ენაზე ღონისძიება არის რესურსი (input), რომელიც მიბმულია მიზანზე. ურესურსო მიზანი მხოლოდ კეთილი სურვილების დეკლარაციაა, რაც პროგრამული ბიუჯეტისთვის არ გამოდგება.
- არასაკმარისი<sup>5</sup> ინდიკატორია სოციალური სერვისებითა და პროდუქტებით უზრუნველყოფილ დამატებით ბენეფიციართა რაოდენობა.
- ცუდი შუალედური ინდიკატორია** სოციალური სერვისებითა და პროდუქტებით უზრუნველყოფილ ბენეფიციართა სარგებლიანობა<sup>6</sup>, როცა მის გასაზომად არ ფიგურირებს არანაირი ღონისძიება, მიბმული შესაბამის მიზანზე.

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვებზე ზრუნვის (27 02 03) ქვეპროგრამა მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამის (27 02) ნაწილია, რაზეც მიანიშნებს პირველი ოთხი ციფრის გამოწერა (27 02) ქვეპროგრამის კოდში. საბოლოო შედეგის ერთ-ერთი **კარგი საბოლოო ინდიკატორი იქნებოდა** ბენეფიციართა დამოუკიდებელი ცხოვრების მაჩვენებელი (მაგ: შშმ მოზრდილებისა და ბავშვების კომუნიკაციის ხარისხი სხვა ადამიანებთან (თანატოლებთან, მასწავლებლებთან და ა.შ.)). ეს მაჩვენებელი შეიძლება იყოს:

- დაბალი, საშუალო ან მაღალი, შესაბამისი განმარტებების თანხლებით (შშმ პირთა შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირების პირველ ეტაპზე);
- უფრო დეტალიზებული - თითოეული დონისთვის შესაბამისი დიაპაზონების/ქვედონების გამოყოფითა და განმარტებებით (შშმ პირთა შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირების მომდევნო ეტაპზე).

ამ ინდიკატორის შესაბამისი მიზნის (დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება) მისაღწევად, აუცილებელია:

- ბენეფიციართა რეპრეზენტატულ ჯგუფებთან ფსიქოლოგების მუშაობა კომუნიკაციის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
- ბენეფიციართა რეპრეზენტატულ ჯგუფებზე დაკვირვება კომუნიკაციის ხარისხის დასადგენად.

5. ზოგჯერ შესაძლებელია ჩანდეს, რა არ არის საკმარისი, მაგრამ აპრიორი არ ჩანდეს, რა არის საკმარისი.

6. Utility

7. მიიჩნევა, რომ ადამიანის კომუნიკაციის ხარისხი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი ცხოვრების ხარისხს. შესაბამისად, თუ შშმ პირი ახერხებს გაუმჯობესებულ (დამოუკიდებელ) კომუნიკაციას, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადადგმულია მისი დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ.

საყოველთაო ჯანდაცვის (27 03 01) ქვეპროგრამის შუალედური შედეგის არასაკმარისი ინდიკატორი იქნებოდა სახელმწიფოს მიერ სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილ შპს პირთა რაოდენობა. ეს ქვეპროგრამა, თავის მხრივ, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის (27 03) ნაწილია, რაზეც მნიშვნელოვან პირველი ოთხი ციფრის გამოვლენა ქვეპროგრამის კოდში (27 03).

საყოველთაო ჯანდაცვის ქვეპროგრამის შუალედური შედეგისთვის კარგი ინდიკატორები იქნებოდა:

- სამედიცინო შემონმებების, ლაბორატორიული თუ სხვა დიაგნოსტიკური გამოკვლევების, სამედიცინო პერსონალის ანაზღაურების, ზედნადები ხარჯებისა და სხვა კომპონენტების წილი იმ გეგმურ თუ გადაუდებელ ამბულატორიულ მომსახურებათა მთლიან დაფინანსებაში, რომლებიც განიცხადდა პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებმა.
- სამედიცინო შემონმებების, ლაბორატორიული თუ სხვა დიაგნოსტიკური გამოკვლევების, სამედიცინო პერსონალის ანაზღაურების, ზედნადები ხარჯებისა და სხვა კომპონენტების წილი იმ გადაუდებელი ამბულატორიული თუ სტაციონარული მკურნალობის მთლიან დაფინანსებაში, რომელიც ჩაატარეს პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებმა.

სახელმწიფო ბიუჯეტში შინაარსიანი და გაზომვადი ინდიკატორების განსაზღვრაც კი ვერაფერს მოგვცემს საბაზისო მონაცემების გარეშე, რომლებიც აჩვენებს, თუ რასთან შედარებით მიაღწია ადგილობრივმა ან ცენტრალურმა მხარჯავ დაწესებულებამ გარკვეულ შედეგს (მაგ: საყოველთაო ჯანდაცვის (27 03 01) ქვეპროგრამას ხუთი საბაზისო ინდიკატორი აქვს, ხოლო სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის (27 02 03) ქვეპროგრამას - სამი, მაშინ, როცა ერთსაც და მეორესაც გაცილებით მეტი საბაზისო ინდიკატორი სჭირდება კონკრეტულ წელს მიღწეული პროგრესის გასაზომად).

**1.3.3.2 ოთხი უმნიშვნელოვანესი კითხვა პროგრამულ ბიუჯეტთან მიმართებით:**

1. ჩაშლილი აქვს თუ არა მხარჯავ დაწესებულებას ბიუჯეტი ქვეპროგრამებად? (ამის გარეშე შეუძლებელი იქნება საბოლოო და შუალედური შედეგების გამიჯვნა და მათ შორის შესაბამისობის დადგენა).
2. ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე (საბიუჯეტო განაცხადში) ხომ არ გვხვდება ისეთი პროგრამები/ქვეპროგრამები, რომელთა მიზნობრიობა გამოკვეთილი არ არის და მათ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები/აქტივობები განისაზღვრება მოგვიანებით, წლის განმავლობაში? (საბიუჯეტო განაცხადის შესახებ იხ. ქვემოთ).
3. აქვთ თუ არა პროგრამული დანართით წარმოდგენილი ქვეპროგრამის ინდიკატორებს საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები?<sup>8</sup>
4. განსაზღვრულია თუ არა ისეთი სრულიად არაგაზომვადი ინდიკატორები, როგორცაა, მაგალითად, მოსახლეობის კმაყოფილების ზრდა?

**1.4. შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირება შპს პირებისთვის**

ამ პროცესმა შეიძლება გამოიღოს მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი შედეგები. ხშირად რთულია არაორაზროვანი და კონკრეტული პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ როგორი შეიძლება იყოს ეს შედეგები. საბიუჯეტო ადვოკატირების მოკლევადიანი შედეგების ჩამოყალიბება არ კმარა. მაგალითად, ვიცით:

- რა შედეგს მოიტანს წლის ბოლოს შპს პირთა ჯანდაცვის დაფინანსების გაზრდა რომელიმე კონკრეტული მიმართულებით?

8. მაგ: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით: შეფასების ინდიკატორთა ნაწილი ვერ ზომავს/აფასებს მიღწეულ შედეგებსა და ეფექტიანობას; პროგრამების/ქვეპროგრამების ნაწილი შეფასებისათვის საჭიროებს დამატებით ინდიკატორებს; არასრულად განისაზღვრება ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკების მაჩვენებლები.

- ან რე შედეგი დადგებე ამ კუთხით 4 წლის შემდეგ?<sup>9</sup>

საბიუჯეტო მხარჯავი დანესებულებები ამ კითხვებზე სცემენ შემდეგ პასუხებს:

- ▶ გვეყოლება უფრო ჯანმრთელი და/ან კმაყოფილი მოსახლეობე;
- ▶ ამალღდება ცნობიერებე.

ეს ნიშნავს, რომ პასუხები არ გვაქვს და ამგვარი ზოგადი ინდიკატორებით/პასუხებით ერთი დონის მთავრობე (ადგილობრივი) ვერც სხვე დონის (ცენტრალური) მთავრობეს დაარწმუნებს და, მითუმეტეს, ვერც დონორებსე თუ ბიზნესს, რომ მისი შეთავაზებით რეალურად შეიძლება შედეგის მიღწევე.

## 1.5. მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ადვოკატირებე

თუ გვინდა დაფინანსების გზრდა რომელიმე კონკრეტული მიმართულებით, ადვოკატირებე ადგილობრივი ან სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის ეტაპზე უნდა დავიწყოთ. გზამკვლევის საბიუჯეტო კალენდრის თავში სწორედ ამიტომ არის მოცემული როგორც ადგილობრივი, ისე სახელმწიფო ბიუჯეტების საკვანძო თარიღები.

როგორც აღვნიშნეთ, გზამკვლევის მიზანია, წახალისოს მუნიციპალიტეტებსე და ცენტრალურ მთავრობეს შორის შეჯიბრებითობის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებე. კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ამ მიზანს მუნიციპალიტეტები აღწევენ დამატებითი დაფინანსების საბიუჯეტო ადვოკატირებით, რაც შესაძლებელია რამდენიმე გზით:

- მეტი დაფინანსების გამოყოფე ცენტრალური ბიუჯეტიდან და მეტი ადგილობრივი შემოსავლის მიღებე სხვედასხვე უწყებეში: ფინანსთე სამინისტრო, რეგიონული განვითარების ფონდი (მაგ: საბავშვო ბაღის ასაშენებლად, რისთვისაც ადგილობრივ ბიუჯეტში ფული არ არის, მთავრობის დადგენილებე #113), მუნიციპალური განვითარების ფონდი.
- ვალის აღებე ფინანსთე სამინისტროს თანხმობით;
- დაფინანსებე საერთაშორისო დონორების მხრიდან (გრანტები);
- სახსრების მოზიდვე ბიზნესიდან (კერძო-საჯარო პარტნიორობე).

საბიუჯეტო ადვოკატირების კარგი საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებეს საქართველოში არაფერი უშლის ხელს. ადვოკატირების დანყებამდე, ცენტრალურმე მთავრობამ ან/და მუნიციპალურმე სამსახურებმე უნდა:

- განსაზღვრონ, არსებულ რესურსზე რამდენით მეტი სჭირდებათ;
- გადანყვიტონ, ვის რამდენი სთხოვონ.

აუცილებელია, საბიუჯეტო ადვოკატირებე ეფუძნებოდეს მტკიცებულებებს. შესაბამისად, **მუნიციპალიტეტები დამატებითი დაფინანსებეს მოპოვებეს შეძლებენ, თუ:**

1. ადვოკატირების დანყებამდე ე.წ. გონებრივი იერიშით (ბრენსტორმინგით) **განსაზღვრავენ და შეასრულებენ** საშინაო დავალებეს, კერძოდ:
  - ყურადღებით გაანალიზებენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს;
  - შეისწავლიან შესაბამის ცენტრალურ მხარჯავ დანესებულებათე საბიუჯეტო განაცხადებს, რომლებიც ელექტრონულად უნდა გამოითხოვონ (ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო განაცხადები შეიძლება მოიცავდეს ასეულობით გვერდს);
  - მოიკვლევენ დონორთე (თანა)დაფინანსების შესაძლებლობებს;

9. საშუალოვადიანი საბიუჯეტო ციკლი საქართველოში მოხწლიანია.



- მოიკვლევინ კერძო-საჯარო პარტნიორობის შესაძლებლობებს;
  - დაითვლიან, რა დაჯდება შპს პირთა საჭიროებების იდენტიფიცირება და შეფასება (მაგ: დაინგარიშებენ 2023-2026 წლების ბიუჯეტს). პროცესმა შეიძლება მოითხოვოს დაფინანსება ისეთი მიზნებით, როგორცაა კონსულტაციების ჩატარება (ფოკუს-ჯგუფებისა და შეხვედრების ორგანიზება), მგზავრობა და ა.შ.
  - დაითვლიან, რა დაჯდება რომელიმე დონის ბიუჯეტში საერთაშორისო ვალდებულებების ასახვა (მაგ: აბილიტაცია-რეაბილიტაციის ან სხვა ვალდებულებების, რომლებიც მოცემულია შპს პირთა უფლებების კონვენციასა და ასოცირების ხელშეკრულებაში). ეს აუცილებელია ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, რადგან შეიძლება ისინი მხედველობიდან გამოირჩეთ დონორებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მაშინაც კი, როცა კონკრეტული ინიციატივა მათგან მოდის.
2. **განსაზღვრავენ** პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც სურთ ადვოკატირებით და დარწმუნდებიან, რომ ეს პრობლემა ნამდვილად იმსახურებს დაგეგმილი ძალისხმევის გაღებას;
  3. **განსაზღვრავენ** ადვოკატირების მიზნებს და დარწმუნდებიან, რომ მათი მიღწევა შესაძლებელია;
  4. **გამოკვეთენ** წინააღმდეგობებს, შეზღუდვებსა და რისკებს;
  5. **განსაზღვრავენ** ამ გამონვევებთან გამკლავების გზებს, დაუნდობელ ოპონირებას გაუწევენ საკუთარ თავს და დარწმუნდებიან, რომ ამ ყველაფრის გადალახვა შესაძლებელია;
  6. **დარწმუნდებიან**, რომ მზად არიან კითხვებისთვის, რომლებიც შეიძლება დასვას მთავრობამ, ბიზნესმა და დონორმა ორგანიზაციამ;
  7. **დაიცავენ** საბიუჯეტო კალენდრით განსაზღვრულ ვადებს (მაგ: ცენტრალური საბიუჯეტო ადვოკატირების დაწყების ოპტიმალური თარიღია 12 მარტი. ამ დღეს სამინისტროები ქმნიან/აახლებენ სამუშაო ჯგუფებს, რომლებმაც კოორდინაცია უნდა გაუწიონ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (BDD), საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადებას);
  8. **გამოავლენენ** ცუდ პრაქტიკას კონკრეტულ შემთხვევათა შესწავლით, რათა აჩვენონ, რომ დახარჯული სახსრების გამოყენება უფრო ეფექტიანად შეიძლებოდა. ცუდ პრაქტიკას შეადარებენ კარგს და ახსნიან, თუ რატომ იყო ერთი ცუდი, ხოლო მეორე - კარგი;
  9. **დაასაბუთებენ**, თუ რატომ უნდა გაიზარდოს ჯანდაცვის დაფინანსება რომელიმე კონკრეტული მიმართულებით. კერძოდ:
    - რა შესაძლო საშუალოვადიანი (4 წლის შემდეგ) და გრძელვადიანი შედეგები დადგება და როდის შპს პირთა პროგრამების/ქვეპროგრამების გაზომვად შედეგებზე ორიენტირებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, არ არის საჭირო ერთიანი მიდგომა და ლოდინი, თუ როდის გაუმჯობესდება ცენტრალური ან ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტები მთლიანობაში;
    - შეუძლიათ თუ არა (და როგორ) ჯანდაცვისა და ფინანსთა სამინისტროებს ამ შედეგების პოლიტიკურად გაყიდვა.
  10. სამინისტროებს **დაანახებენ**, საიდან უნდა მოიტანონ ფული კონკრეტულ პროგრამათა დაფინანსების გასაზრდელად. მაგალითად, ეს შესაძლებელია შემდეგი საშუალებებით:
    - ჯანდაცვის სხვა პროგრამების დაფინანსების ოპტიმიზაცია და სახსრების გამოთავისუფლება: ეს არ არის მარტივი, თუმცა სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენის ეტაპზე შეიძლება ჩატარდეს კვალიფიციური ანალიზი (ადვოკატირების კალენდარში მოცემულ ვადებში) და მოხერხდეს როგორც ჯანდაცვის სამინისტროს, ისე სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ადგილობრივი თვითმმართველობების დარწმუნება, რომ შეამცირონ ჯანდაცვის გარკვეული პროგრამების დაფინანსება;
    - დონორების (თანა)დაფინანსება;
    - კერძო-საჯარო პარტნიორობა.
  11. დაიწყებენ საბიუჯეტო ადვოკატირებას, რათა მუნიციპალიტეტის დონეზე მოგვარდეს ის პრობლემები, რომლებიც დასმულია სახელმწიფო აუდიტის სამსა-



ხურის (sao.ge) შპს პირთა ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში.<sup>10</sup> სწორედ ასეთი შეჯამებითობის მაგალითებით ყალიბდება კარგი და საუკეთესო პრაქტიკა ჯერ ქვეყნის, შემდეგ კი საერთაშორისო დონეზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2013 წლიდან უფრო მეტი შედეგიანი, მასშტაბური და სიღრმისეული აუდიტი ჩაატარა ფინანსური საკითხებისა და ეფექტიანობის კუთხით, ვიდრე მანამდე ერთად აღებული. სამსახურის ასეთი გააქტიურების ფონზე, მის ანგარიშებში წარმოდგენილი უამრავი ძალიან საჭირო რეკომენდაცია სამიზნე ობიექტებს<sup>11</sup> კვლავაც უყურადღებოდ რჩებათ (მაგ. იხ. გზამკვლევის დანართი 1).

12. საკუთარი პროგრამების/ქვეპროგრამების „ბენჩმარკინგით“<sup>12</sup> აჩვენებენ რესურსების გამოყენებას, ერთეულის ღირებულებასა და ფასს, ასევე, მთლიანად ეფექტიანობას, რაც პაციენტებსა და ჯანდაცვის/სოციალური პროგრამების ბენეფიციარებს მისცემს სხვადასხვა ორგანიზაციის ეფექტიანობასთან შედარების საშუალებას (რეკომენდაცია თბილისის მერიისთვის).

13. **შეარჩევნ და გამოკითხავნ** ჯანდაცვის სხვადასხვა მომსახურების ბენეფიციართა და საჯარო მოხელეთა 8-10-კაციან ფოკუს-ჯგუფებს, ერთი მხრივ, ამ სერვისებით კმაყოფილებისა და მათი სარგებლიანობის გასარკვევად, მეორე მხრივ კი - ხარისხიანობის დასადგენად. ეს იქნება თვისობრივი კვლევა - განსაკუთრებით სასარგებლო იმ პრობლემათა განსაზღვრისათვის, რომლებსაც სამინისტრო ან სოციალური მომსახურების სააგენტო არ იკვლევს. საქართველოში ყველაზე დიდი შერჩევა რაოდენობრივი კვლევებისთვის 2500 კაცს არ აღემატება, რაც გარკვეულ შემთხვევებში (თუნდაც სწორი მეთოდოლოგიური მიდგომის პირობებში) საკმარისი არ არის.<sup>13</sup>

14. ჯანდაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს **დაანახებენ**:

- რა დამატებითი ღირებულება შეიძლება ჰქონდეს დიდი შერჩევისა და, შესაბამისად, მაღალი სანდოობის რაოდენობრივ კვლევებს შეზღუდული შესაძლებლობების პოლიტიკისა თუ სხვადასხვა ჩარევის კორექტირებისთვის.
- რა დიდ რესურსს მოითხოვს მაღალი სანდოობის მქონე რაოდენობრივი კვლევები, რაც მუნიციპალიტეტებმა შეიძლება ვერ დააფინანსონ საკუთარი ბიუჯეტით.

15. ჯანდაცვის სამინისტროს, ასევე, სოციალური მომსახურებისა და ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოებს **დაეხმარებიან** კვლევის კითხვების ჩამოყალიბებაში; **დაანახებენ** იმასაც, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ მომსახურებებით კმაყოფილებისა და მათი სარგებლიანობის დადგენას და როგორ შეიძლება მსგავსი საპილოტე მონიტორინგით არაინფორმირებული უკმაყოფილების შეცვლა ინფორმირებული კმაყოფილებით, კერძოდ:

- ამგვარი მცირემასშტაბიანი დაკვირვებით, მუნიციპალიტეტები სამინისტროსა და ორივე სააგენტოს დაანახებენ, რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა შპს პირის საჭიროებების, ასევე, პროგრამით/ქვეპროგრამით კმაყოფილებისა და მათი სარგებლიანობის კვლევა.
- ბენეფიციართა მიერ მიღებული სარგებლის განსაზღვრა გაცილებით უკეთეს წარმოდგენას გვიქმნის სოციალური და სამედიცინო მომსახურებების ხარისხზე, ვიდრე მათი კმაყოფილების/უკმაყოფილების დადგენა (მაგ: პირს შეიძლება არარეალისტური მოლოდინები ჰქონდეს მისი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან მიმართებით; ვერ აცნობიერებდეს, თუ რა შედეგის მიღწევა შეიძლება ამ მდგომარეობის გათვალისწინებით და, შესაბამისად, მისი კმაყოფილება არ ასახავდეს მიღებულ სარგებელს).
- სწორედ ამის გამო, სახელმწიფოს სოციალურ და სამედიცინო სერვისთა სარგებლიანობას არაერთ ქვეყანაში შერჩევით აკვირდებიან. ამ კუთხით, დაკვირვება ჯანდაცვის მუნიციპალური თუ სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლებზე (შპს პირები, ქალები, ნარკომომხმარებლები, დიაბეტის მქონე პირები, დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის ბენეფიციარები და სხვა) ძალიან საჭირო ინფორმაციას მისცემდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკის კორექტირებისთვის. ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამებით შესაძლებელია:

10. <https://bit.ly/3QMX60f>

11. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები.

12. Benchmarking - ათვისების წერტილთან შესაბამისობის შეფასება.

13. საქართველოში მხოლოდ მარკეტინგულ კვლევებს აქვთ უფრო დიდი ზომის შერჩევები.

- სოციალური და ჯანდაცვის ცენტრალური პროგრამების მუნიციპალური კომპლემენტაცია. ეს ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი ამ პროგრამების ბენეფიციარებს შესთავაზებს ნაკლებ შემზღუდავ პირობებს (მაგ: გათვალისწინებული მეტ მომსახურებას, უფრო ფართო ასაკობრივ დიაპაზონს, სახელმწიფო თანადაფინანსებასთან ერთად, მუნიციპალურ თანადაფინანსებას და ა.შ.).
- სამედიცინო მიზნებით მგზავრობა.

დაკვირვება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შუამ ბენეფიციართა კმაყოფილებასა და მიღებულ სარგებელზე არც ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს ჩაუტარებია და არც სოციალური მომსახურების სააგენტოს (მაგ: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარი შესაძლოა ისეთ სამედიცინო მომსახურებას ითხოვდეს, რომელსაც პროგრამა არ ფარავს, ამიტომ უკმაყოფილო დარჩეს, რაც არ ნიშნავს, რომ პროგრამა უსარგებლოა).

**სოციალური მოდელის საკვანძო ელემენტთა მონაცემები**

- ▶ სისტემური ბაზიუჩები
- ▶ აგებულები/დამამციხებელი მოპყხობა
- ▶ სოციალური გაიიყვა
  - ნებსითი
  - უნებღიე

**ია მნიშვნელობა აქვს, ბენეფიციარი საფუძვლიანად აიის კმაყოფილი ამა თუ იმ მომსახურებით, თუ უსაფუძვლოდ, და ხაგომ უნდა ჩავაგაიხოთ ამ საკითხის საპილოტე თუ სხუდმასშტაბიანი მონიგროიინგი?**

არაერთი სოციოლოგიური კვლევა აჩვენებს, რომ ჯანდაცვის პროგრამების ბენეფიციართა საკმაოდ დიდი ნაწილი (შუამ პირთა ჩათვლით) არ არის გათვითცნობიერებული არც საკუთარ უფლებებში და არც იმ მომსახურებებში, რომლებიც ეკუთვნით.

ამგვარი მონიტორინგი იძლევა საშუალებას, რომ:

- მუნიციპალიტეტმა დაინყოს მუშაობა მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამების ბენეფიციართა არაინფორმირებული უკმაყოფილების ინფორმირებული კმაყოფილებით შესაცვლელად;

როგორც სამინისტრომ, ისე სააგენტომ, ჯანდაცვის ცენტრალური პროგრამების მუნიციპალურ ბენეფიციართა მაგალითზე უკეთ გააანალიზონ, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგან ქვეყნის მასშტაბით სოციალური და სამედიცინო მომსახურებების გასაუმჯობესებლად.

მნიშვნელოვანია, დამფინანსებელს ავუხსნათ, თუ როგორ შეიძლება ჩატარდეს სერვისებით კმაყოფილებისა და მათი სარგებლიანობის მონიტორინგი ჯერ საპილოტე ფორმატით, შემდეგ კი სრულმასშტაბიანად. მაგალითად, ასეთ გზებს მიეკუთვნება:

- ▶ სოციალური და სამედიცინო მომსახურების მიმღებთა და მიმწოდებელთა გამოკითხვა;
- ▶ დამოუკიდებელი დაკვირვება სოციალურ და სამედიცინო მომსახურებაზე, რათა გაირკვეს, თუ რით არის კმაყოფილი ბენეფიციარი და რა სარგებელს იღებს იგი;
- ▶ რა პრობლემებს აწყდებიან მათთვის საჭირო სოციალური და სამედიცინო მომსახურების მიღებისას;
- ▶ რამდენად ხელმისაწვდომია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის შესაფერისი სოციალური და სამედიცინო მომსახურება და ა.შ.

**მტკიცებულებებზე დაფუძნებული საბიუჯეტო ადვოკატირების მაგალითები**

ამ მაგალითებიდან ან საკუთარი გამოცდილებით აირჩიეთ:

- თქვენთვის ყველაზე მწვავე საკითხი;
- მისი მომდევნო პრიორიტეტი და ა.შ.

**მაგალითი 3:** ახალი სოციალური მოდელის პილოტირება და დანერგვა მუნიციპალიტეტის დონეზე, რასაც ჯერ კიდევ 2010 წლიდან ითვალისწინებდა სხვადასხვა სამთავრობო სამოქმედო გეგმა.

კარგი პრაქტიკის მიხედვით, სწორედ აქ რეალიზდება თვითმმართველობებს შორის შეჯიბრებითობის როლი.

**შენიშვნა:** სოციალური მოდელი ემყარება განსხვავებას სამედიცინო დახვეწისა და შეზღუდული შესაძლებლობის ცნებებს შორის. ამ მოდელში სიღვიძარა „დახვეწვა“ აღნიშნავს იმ ფაქტორებს, რომლებიც მახასიათებელა ქონას/აქონას, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანზე, (მაგ: დამოუკიდებლად სიახუდის ან სუნთქვის უუნარობა); ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობა“ კი გულისხმობს საზოგადოებრივი და გახელო პირობებით გამოწვეულ შეზღუდვებს (მაგ: თუ ადამიანს ახ შეუძლია კიბეზე ასვლა მობილობის შეზღუდვის გამო). სამედიცინო მოდელი ყუჩადღებს ამხვედებს იმაზე, რომ ინდივიდმა თავად შეძლოს კიბეზე ასვლა, სოციალური მოდელი კი ცდილობს, პირს შესთავაზოს მასზე მოხვედები გახელო (მაგ: კიბესთან ეხთად ან/და მის ნაცვლად, გააკეთოს პანდუსი ან დიფტი, ხათა ადამიანმა დანიშნულების ადგილამდე დამოუკიდებლად შეძლოს მიღწევა). სოციალური მოდელი ვილებთ ფაქტს, რომ ადამიანს ახ შეუძლია კიბეზე ასვლა, მაგამ ეს ალაი ახის მისი შეზღუდული შესაძლებლობა. მაშასადამე, ამ მოდელში შეზღუდული შესაძლებლობა უკავშირდება გახელოს შემზღუდვედ ფაქტორებს, რომელთა მოხსნასაც ცდილობთ.

**მაგალითი 4:** თქვენს მუნიციპალიტეტში მონიტორინგი სახელმწიფო ბიუჯეტის იმ ქვეპროგრამებზე, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა მომსახურებისა და დამხმარე საშუალებების/მასალების მიწოდებას შშმ პირთათვის (მაგ: სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (27 02 03), მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (27 03 01), ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა (27 03 03 01), იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (27 03 03 06), ინკლუზიური განათლება (32 06)). მონიტორინგმა შეიძლება მოიცავს მომსახურებებისა და საქონლის ხარისხი, მიწოდების თანმიმდევრულობა, დროულობა და შედეგები.

## 2. ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტების კალენდარი

### 2.1. ცენტრალიზებულად დადგი ნილი ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტების კალენდარი

კრიტიკულად მნიშვნელოვანია, არ გაუშვათ ადგილობრივი თუ სახელმწიფო საბიუჯეტო კალენდრით გათვალისწინებული შემდეგი ვადები:

**20 იანვრამდე**

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული (ავტონომიური რესპუბლიკის თვითმმართველი ერთეულის გარდა) ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 20 დღეში ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს.<sup>14</sup>

**31 იანვრამდე**

1. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოსა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოს შორის (საჭიროების შემთხვევაში) ფორმდება დელეგირების ხელშეკრულებები.<sup>15</sup>
2. მუნიციპალიტეტებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ფინანსთა სამინისტრო ამზადებს BDD-ის საბოლოო ვარიანტს, რომელსაც ინფორმაციის სახით წარუდგენს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს (მაგ: 2022 წელს ეს იყო 2022-2025 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი).

14. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე.  
 15. კოდექსის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.

## 28 თებერვლამდე

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვეში ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებს და წარუდგენს შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოებს.<sup>16</sup>

## 1 მარტამდე

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო 1 მარტიდან გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია მომდევნო 4 წლის პრიორიტეტთა შესადგენად წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.<sup>17</sup>

## 30 აპრილამდე

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს 3 თვის ბიუჯეტთა შესრულების კვარტალურ მიმოხილვას, ნაზარდი ჯამით, სადაც შემოსულობები, გადასახდელები (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები), ნაშთის ცვლილება და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობები შედარებულია შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან (კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე).

## 1 მაისამდე

შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო არაუგვიანეს 1 მაისისა საჯაროდ განიხილავს წინა წლის ბიუჯეტთა შესრულების წლიურ ანგარიშებს და იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშების დამტკიცებას ან დაუმტკიცებლობაზე (კოდექსის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად).

## 20 მაისამდე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის წლიურ ანგარიშზე, რომელიც შეეხება გასული წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას და რომელშიც მოცემულია ვალთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია. დოკუმენტში შეიძლება აისახოს თქვენთვის საგულისხმო პრობლემები და საკითხებიც, რომელთა ახსნა/გადაწყვეტა შეგიძლიათ სთხოვოთ მთავრობას.

კონსტიტუციის 69-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, პარლამენტი საჯარო სახსრების მართვას აკონტროლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეშვეობით. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებას ამ ანგარიშზე პარლამენტი განიხილავს საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე.

**შენიშვნა:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხეკომენდაციათა გასათვადისწინებლად, მთავრობა თავისი განკარგულებით ადგენს შესაბამის სამოქმედო გეგმას. თქვენმა დაინტერესებამ იმით, თუ როგორ ხორციელდება სამოქმედო გეგმა, შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი უამხავი ძალიან მნიშვნელოვანი მიგნების გათვადისწინებას, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას და, შესაბამისად, ვადის მართვას. აუდიტის სამსახურის მოხსენებაში, რომელიც შეეხება მთავრობის წლიურ ანგარიშს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე, საუბარია მნიშვნელოვან სისტემურ პრობლემებზე და წახმოდგენილია მიგნებები მთავრობის მხრიდან ხეკომენდაციისათვის. ამ სამთავრობო ანგარიშსაც და აუდიტის სამსახურის მოხსენებასაც განიხილავთ პარლამენტის კომიტეტები (როგორც წესი, მათ გამგებლობას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით), ფრაქციები, პოლიტიკური ჯგუფები, უმჯავრობა და პარლამენტის უფრაქციო წევრები.

16. კოდექსის 86-ე მუხლის საფუძველზე.

17. კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.

## 31 მაისამდე

მთავრობა პარლამენტს წარუდგენს წლიურ ანგარიშს წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე. ფინანსთა სამინისტრო, ჩვეულებრივ, 31 მარტამდე აქვეყნებს ამ დოკუმენტს, მიუხედავად იმისა, რომ, საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ვადა აქვს 31 მაისამდე. მთავრობა ვალდებულია, სათანადოდ არგუმენტირებული პასუხები გასცეს პარლამენტის წევრის ყველა კითხვას, რათა დადგინდეს, რამდენად ზუსტად და სრულად ასახავს ეს ანგარიში ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობებსა და კანონიერებას გასულ საბიუჯეტო წელს. დეპუტატებს კითხვების მიწოდება შეუძლიათ შესაბამისი კომიტეტის აპარატის მეშვეობით.

თავისი რეგლამენტის მიხედვით, პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს ამტკიცებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი ზუსტად და სრულად ასახავს გასული საბიუჯეტო წლის შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობებსა და კანონიერებას. მნიშვნელოვანია, ანგარიშში აისახოს ისიც, თუ როგორ შესრულდა გეგმა. ამით გავიგებთ, ბიუჯეტის რომელი ნაწილი შესრულდა და სად იკვეთება ჩამორჩენა.

## 1 ივნისამდე

- კომიტეტებთან შესათანხმებლად, მთავრობა პარლამენტს წარუდგენს ინფორმაციას ქვეყნის მთავარ მაკროეკონომიკურ პროგნოზებსა და სამინისტროთა ძირითად მიმართულებებზე მომდევნო ოთხი წლისათვის (დასაგეგმი+შემდგომი სამი წელი).

## 18 ივნისამდე

- კომიტეტები თავიანთი სფეროების მიხედვით განიხილავენ მიწოდებულ ინფორმაციას და ამზადებენ შესაბამის დასკვნებს, რომლებსაც წარუდგენენ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. კომიტეტი ამ დოკუმენტებს, საკუთარ დასკვნასთან ერთად, 20 ივნისამდე უგზავნის მთავრობას.

## 10 ივლისამდე

- მთავრობა იწონებს BDD-ის (ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი) პირველად ვარიანტს (მაგ: 2023 წელს მომზადდება 2024-2027 წლების BDD). დოკუმენტი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ვალის აღებასა და ხარჯვაზე მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში.

## 15 ივლისამდე

ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს.<sup>18</sup>

## 31 ივლისამდე

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს 6 თვის ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას, ნაზარდი ჯამით, სადაც შემოსულობები, გადასახდელები (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები), ნაშთის ცვლილება და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობები შედარებულია შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.<sup>19</sup>

18. კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

19. კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე.



## 15 აგვისტომდე<sup>20</sup>

1. სამუშაო ჯგუფი, რომელიც განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიით, ამზადებს პრიორიტეტთა დოკუმენტის პირველად ვარიანტს. ეს ვერსია მუნიციპალიტეტის მერმა უნდა მოიწონოს 15 აგვისტომდე.
2. საფინანსო სამსახური, მუნიციპალიტეტთა შესაბამისი სამსახურების მიერ შედგენილი საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფს წარუდგენს საკუთარ პროგნოზს მომავალი წლების გადასახდელთა განაწილებაზე. ჯგუფი განიხილავს ამ ინფორმაციას და არსებული რეზერვების ფარგლებში, არაუგვიანეს 15 აგვისტომდე, ამზადებს წინადადებებს ასიგნებათა ზღვრული მოცულობების შესახებ.

## 1 სექტემბრამდე

1. საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის<sup>21</sup> შემუშავებაზე მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფი ასრულებს მუშაობას და გეგმა მტკიცდება.<sup>22</sup>
2. მხარჯავი დაწესებულებები ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ მომდევნო წლის საბიუჯეტო განაცხადებს, ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით<sup>23</sup>
3. ფინანსთა სამინისტრო მთავრობისათვის ამზადებს წინადადებებს იმ შენიშვნებისა და რეკომენდაციების გასათვალისწინებლად, რომლებიც წარმოდგენილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში გასული წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან მიმართებით.<sup>24</sup>

**შენიშვნა:** მნიშვნელოვანია, 1 სექტემბრამდე პეჩიდში მუნიციპალიტეტმა შესაბამის ცენტრალურ მხარჯავ დაწესებულებას საკუთარ ბიუჯეტში გათვალისწინებინოს ის, ხისი დაფინანსებაც შესაძლებელია ცენტრალური ბიუჯეტიდან (მაგ: ხეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანხა ხეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან).

## 15 სექტემბრამდე

არაუგვიანეს 15 სექტემბრისა, მუნიციპალური სამსახურები მომდევნო წლის შევსებულ საბიუჯეტო განაცხადებს, დამატებით ასიგნებათა მოთხოვნებთან ერთად (არსებობის შემთხვევაში), განსახილველად წარუდგენენ საფინანსო სამსახურს.<sup>25</sup>

## 1 ოქტომბრამდე

1. მთავრობა პარლამენტს წარუდგენს მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს;<sup>26</sup>
2. მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტს (წინასწარ ვარიანტს)<sup>27</sup> განსახილველად წარუდგენს მერის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს. ჯგუფს ასევე უნდა მიეწოდოს სამსახურების მოთხოვნები დამატებით ასიგნებებზე, შესაბამის სამიზნე მაჩვენებლებთან ერთად.

20. ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების საფუძველზე.  
 21. 2022 წელს ეს იქნება 2023-2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა.  
 22. ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების შესაბამისად.  
 23. საბიუჯეტო კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.  
 24. მთავრობის 2015 წლის 30 მარტის N 144 დადგენილების პირველი მუხლის შესაბამისად.  
 25. ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების შესაბამისად.  
 26. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დანართებს, მათ შორის, განმარტებით ბარათს; 2. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს (BDD) - მთავრობის საშუალოვადიან (ოთხწლიან) გეგმას, რომელიც მოიცავს ქვეყნის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პრიორიტეტებსა და ამოცანებს 3. მოხსენებას მიმდინარე წლის შესრულებაზე, სადაც ასევე მოცემულია ინფორმაცია ვალზე და მის მომსახურებაზე (ვალის მომსახურება ძირის და პროცენტების ეტაპობრივ გადახდას ნიშნავს)  
 27. ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების შესაბამისად.



## 5 ოქტომბრამდე

ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივ თვითმმართველობებს აცნობებს:

- მომდევნო წლის მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს;<sup>28</sup>
- მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისთვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.<sup>29</sup>

## 20 ოქტომბრამდე

პარლამენტში წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, თანდართულ მასალებსა და BDD-ის დოკუმენტთან ერთად, ორ კვირაში განიხილავენ კომიტეტები, ფრაქციები, პოლიტიკური ჯგუფები, უმრავლესობა, პარლამენტის უფრაქციო წევრები, საბიუჯეტო ოფისი, აუდიტის სამსახური და ეროვნული ბანკი. დასკვნები ეგზავნება საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, საბოლოო გადაწყვეტილების მოსამზადებლად.

## 22 ოქტომბრამდე

პარლამენტის თავმჯდომარე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნას სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტზე გადაცემიდან 2 დღის ვადაში უგზავნის მთავრობას.

## 31 ოქტომბრამდე

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს მიმდინარე წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას, ნაზარდი ჯამით, სადაც შემოსულობები, გადასახდელები (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები), ნაშთის ცვლილება და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობები შედარებულია შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.<sup>30</sup>

## 5 ნოემბრამდე

მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და BDD-ის გადამუშავებულ ვარიანტებს, შენიშვნების/წინადადებების გათვალისწინებაზე ინფორმაციასთან ერთად, ხელმოკრედი წარუდგენს პარლამენტს.

## 15 ნოემბრამდე

1. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო (ავტონომიური რესპუბლიკის თვითმმართველი ერთეულების გარდა) თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს (ოთხნობიანი პერიოდისთვის)<sup>31</sup> წარუდგენს ამავე თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს.<sup>32</sup>
2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტს, თანდართულ მასალებთან ერთად, შესაბამისი ერთეულის მერი განსახილველად წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით ორგანოს.<sup>33</sup>
3. პრიორიტეტთა დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტში, რომელიც საკრებულოს წარედგინება წლიური ბიუჯეტის პროექტთან ერთად, პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს პროგრამული ბიუჯეტის დანართში ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების შესაბამისად<sup>34</sup>.

28. საბიუჯეტო კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

29. კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე.

30. კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე.

31. მიმდინარე წელს ეს იქნება 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.

32. ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და მთავრობის 2022 წლის 25 თებერვლის N88 დადგენილების შესაბამისად.

33. საკრებულოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე.

34. ამ ბრძანებით დამტკიცებულია პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგია, ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიასთან ერთად.

## 18 ნოემბრამდე

პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს განიხილავს პლენარულ სხდომაზე.

პლენარულ სხდომაზე ამ კანონის პროექტსა და მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულებაზე მოხსენებას წარადგენს პრემიერმინისტრი ან მთავრობის რომელიმე წევრი. პარლამენტი ისმენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, ეროვნული ბანკისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებსაც.

## 20 ნოემბრამდე

პარლამენტის თავმჯდომარე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნას უგზავნის<sup>35</sup> მთავრობას, პლენარულ სხდომაზე განიხილვისას გამოთქმული შენიშვნების სტენოგრამასთან ერთად.

## 25 ნოემბრამდე

შენიშვნების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულო ბიუჯეტის პროექტს უბრუნებს მუნიციპალიტეტის მერს, შესაბამის მითითებებთან ერთად.

## 30 ნოემბრამდე

მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო და BDD-ის შესაბამის ვარიანტს, ასევე, ინფორმაციას პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ, წარუდგენს პარლამენტს.

## 5 დეკემბრამდე

ვიდრე მთავრობის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვარიანტი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილება, მასზე იმსჯელებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი და დასკვნას წარუდგენს პარლამენტის ბიუროს.

## 10 დეკემბრამდე

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მერი მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს წარუდგენს საკრებულოს.<sup>36</sup>

თუ საკრებულო არ დაამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შესწორებულ ვარიანტს, ან მერი არ გაიზიარებს საკრებულოს შენიშვნებს, საკრებულო უფლებამოსილია, სიითი შემადგენლობის 3/5-ით დაამტკიცოს თავისი ფრაქციის ან სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მიერ ინიცირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია მხოლოდ საკრებულოს მიერ მერისთვის გაგზავნილი შენიშვნები (ან მათი ნაწილი).

## 31 დეკემბრამდე

1. ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, საკრებულო საჭაროდ განიხილავს მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტს და იღებს გადაწყვეტილებას მის დამტკიცებაზე (სიითი შემადგენლობის უმრავლესობით).<sup>37</sup>

თუ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი ვერ დამტკიცდება დასაგეგმი წლის დაწყებამდე, მერი უფლებამოსილია, თითოეული პრიორიტეტისთვის ყოველთვიურად გასცეს თანხა, რომელიც არ აღემატება გასული საბიუჯეტო წლის ასიგნებათა 1/12-ს. თუ აღნიშნული პროექტი ვერ დამტკიცდება ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 3 თვის განმავლობაში, მთავრობა მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერს ვადამდე უწყვეტს უფლებამოსილებას.

35. კანონის პროექტის განხილვაში შესვლების გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში.

36. კოდექსის 78-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.

37. კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს პარლამენტი კენჭს უყრის არაუგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევამდე და იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით (ერთი მოსმენით).
  - თუ პარლამენტი დეკემბრის მესამე პარასკევამდე ვერ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს, შესაძლებელია, 10 დღის ვადაში (თუმცა არაუგვიანეს 31 დეკემბრისა) ხელახლა ეყაროს კენჭი ბიუჯეტის პროექტის იმავე ვარიანტს, ან მთავრობისა და პარლამენტის წევრთა შემთანხმებელი კომისიის მიერ გადამუშავებულ ვერსიას.
  - თუ სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ დამტკიცდება საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, ყოველთვიურად მხარჯავ დაწესებულებებზე გაიცემა თანხა, რომელიც არ აღემატება გასულ საბიუჯეტო წელს დამტკიცებულ ასიგნებათა 1/12-ს.

### ყოველი თვის 10 რიცხვამდე (იანვრის გარდა)<sup>38</sup>

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს წლიურ ანგარიშს, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით.<sup>39</sup>

## 2.2. ადგილობრივი თვითმმართველობების შიდა საბიუჯეტო კალენდარი

საბიუჯეტო პროცესის ეფექტიანად დასაგეგმად, ადგილობრივ თვითმმართველობებს სჭირდებათ შიდა საბიუჯეტო კალენდარიც, სადაც, ადგილობრივი საბიუჯეტო კალენდრის<sup>40</sup> თარიღებთან ერთად, მოცემულია ის საბიუჯეტო ვადებიც, რომლებიც სამუშაო პროცესში უნდა დაიცვან მუნიციპალურმა სამსახურებმა. ეს ვადები სხვადასხვა თვითმმართველობაში განსხვავდება. შიდა კალენდარს, ჩვეულებრივ, თვითმმართველობის საფინანსო სამსახური ადგენს. მაგალითად, თბილისში:

- 1 მარტიდან მერი ბიუჯეტის პროექტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებისა და პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებლად, ქმნის სამუშაო ჯგუფს და გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, სადაც განსაზღვრულია მათ შესადგენად წარსადგენ ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.
- 1 ივლისამდე მერიის სტრუქტურული ერთეულები, საბიუჯეტო ორგანიზაციები და რაიონის გამგეობები საფინანსო საქალაქო სამსახურში წარადგენენ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის გასული წლის შეფასებას, მიმდინარე წლის გადამუშავებულ პროგნოზს, მომდევნო ოთხი წლის საშუალოვადიან სამოქმედო გეგმასა და ბიუჯეტის პროექტს.
- 15 აგვისტომდე საფინანსო საქალაქო სამსახური:
  - სამუშაო ჯგუფს წარუდგენს პრიორიტეტთა დოკუმენტის პირველად ვარიანტს, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი (შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტით);
  - სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებით ამზადებს საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულების/გამგეობების/საბიუჯეტო ორგანიზაციების ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხვნობის საორიენტაციო ზღვრულ მოცულობებს.
- 15 სექტემბრამდე მერიის სტრუქტურული ერთეულები, რაიონის გამგეობები და საბიუჯეტო ორგანიზაციები საფინანსო საქალაქო სამსახურში წარადგენენ საბიუჯეტო განაცხადის შევსებულ ფორმებს.
- 1 ოქტომბრამდე საფინანსო საქალაქო სამსახური სამუშაო ჯგუფს განსახილველად წარუდგენს ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს, ტრანსფერების გარეშე და ა.შ.

38. 10 თებერვლამდე, 10 მარტამდე, 10 აპრილამდე, 10 მაისამდე, 10 ივნისამდე, 10 ივლისამდე, 10 აგვისტომდე, 10 სექტემბრამდე, 10 ოქტომბრამდე, 10 ნოემბრამდე და 10 დეკემბრამდე.

39. კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.

40. [https://mof.ge/sabiujeto\\_kalendari](https://mof.ge/sabiujeto_kalendari)

## 2.3. რა დამატებითი ნყაროები სჭირდებათ მუნიციპალიტეტებს შპს პირებზე ორიენტირებულ ბიუჯეტირებაში

### 2.3.1. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები

ყოველი წლის ბოლოს (ჩვეულებრივ, დეკემბერში) მთავრობა თავისი დადგენილებით ამტკიცებს მომდევნო წლის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებს. გამონაკლისის სახით, დადგენილება 2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ<sup>41</sup> გამოიცა 2022 წლის 12 იანვარს. ამ დოკუმენტში დანვრილებით არის აღწერილი ჯანდაცვის ყველა სახელმწიფო პროგრამის შინაარსი, რომელთა მიზანია, მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისათვის შესაბამისი ფინანსური გარანტიების შექმნით, ხელმისაწვდომი გახადოს სამედიცინო მომსახურება.

დადგენილება წარმოდგენას გვიქმნის ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემის ყველა ძირითადი მმართველის<sup>42</sup> საქმიანობაზე წლის განმავლობაში და გვეხმარება შესაბამისი ადგილობრივი აქტივობების დაგეგმვაში.

### 2.3.2. ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდები

ჯანდაცვის და სოციალურ სახელმწიფო პროგრამებზე წარმოდგენას გვიქმნის ის ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსა<sup>43</sup> და სოციალური მომსახურების სააგენტოს<sup>44</sup> ვებგვერდებზე, შესაბამის განყოფილებებში, კერძოდ:

- ▶ ვინ არის ამა თუ იმ სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე;
- ▶ რას მოიცავს პროგრამა;
- ▶ ვის უნდა მიმართოს მოქალაქემ პროგრამაში მონაწილეობისათვის;
- ▶ როგორ ანაზღაურდება მომსახურება და ითვალისწინებს თუ არა პროგრამა თანაგადახდას;
- ▶ რას მოიცავს სტაციონარული და ამბულატორული მომსახურება;
- ▶ სხვა სპეციფიკური ინფორმაცია (მაგ: ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის შემთხვევაში - როგორ უზრუნველყოფენ ფსიქიკური დარღვევების მქონე შპს პირებს თავშესაფრით).

შესაბამის განყოფილებებში წარმოდგენილია სხვა ძალიან სასარგებლო ინფორმაციაც:

- ▶ სოციალური პროგრამები (სოციალური პროგრამების განყოფილება);
- ▶ დეტალური სტატისტიკა ისეთ საკითხებზე, როგორცაა: პენსია, სოციალური პაკეტი, ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება შრომითი მოვალეობის შესრულებისას, ფულადი დახმარება, საარსებო შემწეობა, სახელმწიფო კომპენსაცია და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, საყოფაცხოვრებო სუბსიდია.
- ▶ მიზნობრივი სოციალური დახმარების მონაცემთა ბაზა (სტატისტიკის განყოფილება).

41. <https://www.matsne.gov.ge/document/view/5352433?publication=11>

42. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტოს ლ. საყვარელიძის სახელობის დავადატა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი.

43. <https://nha.gov.ge/ge/p/your-health>

44. [http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=34](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=34)

### 2.3.3. ინფორმაციის გამოთხოვა საჯარო დაწესებულებებისგან

სახელმწიფოს მიერ დახარჯული ფულისა და ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურებების ხარისხის შედარება ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტთათვის, როცა საქმე ეხება შპს პირებზე ორიენტირებულ ბიუჯეტირებას.

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა ყოველთვის სწორ წარმოდგენას არ გვიქმნის მომსახურების ფაქტობრივ მიწოდებაზე. ამ უკანასკნელის შესაფასებლად, შეუცვლელი ინსტრუმენტია ბენეფიციართა პერიოდული გამოკითხვები, სოციოლოგიური კვლევების ექსპერტთა/კომპანიათა მეშვეობით.

### 2.3.4. სხვა საჭირო წყაროები შპს პირებზე ორიენტირებული ბიუჯეტირებისთვის:

- ▶ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო: <http://www.moh.gov.ge>
- ▶ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო: <https://nha.gov.ge/ge/home>
- ▶ სოციალური მომსახურების სააგენტო: <http://ssa.gov.ge/>
- ▶ ფინანსთა სამინისტრო: [mof.ge](http://mof.ge), სახელმწიფო ბიუჯეტები და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;
- ▶ სახელმწიფო ხაზინა: [treasury.ge](http://treasury.ge)
- ▶ საქსტატი: <http://geostat.ge/>, ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ინფორმაციის/მონაცემებისთვის;
- ▶ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ჯანდაცვის სფეროს აუდიტის ანგარიშები: [sao.ge](http://sao.ge)
- ▶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)
- ▶ ფინანსთა მინისტრის 99-ე ბრძანება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ - საჯარო ფინანსების ფუძემდებლური დოკუმენტი საქართველოში. აქ უამრავ კითხვაზე იპოვით პასუხს: მაგალითად, თუ გაინტერესებთ, რა მიიჩნევა ქონებად, ანუ რისგან შედგება არაფინანსური აქტივები, ძებნის ფუნქციის (Find) პანელში შეიტანთ ამ ცნებას, დაბოლოების გარეშე (არაფინანსური აქტივებ), და იპოვით ცხრილს არაფინანსური აქტივების ჩამონათვალით. შესაბამისად, ნაცვლად იმისა, რომ ხსენებულ ბრძანებაში წაიკითხოთ ყველა წინადადება ამ ტერმინით, მოძებნით ცხრილს, სადაც წარმოდგენილია არა არაფინანსური აქტივების განმარტება, არამედ მათი ჩამონათვალი (ანუ რაც თქვენ გჭირდებათ). ანალოგიურად იპოვით თქვენთვის სასურველ ინფორმაციას სხვა შემთხვევებშიც.
- ▶ [matsne.gov.ge](http://matsne.gov.ge)

## 3. შედეგების გაზომვა ქართული და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით

საქართველოში შედეგებზე ორიენტირებულ ბიუჯეტირებას პროგრამული ბიუჯეტირება ჰქვია, რაც დაწვრილებით მიმოვიხილეთ 1.1 და 1.3.3 თავებში. პროგრამული ბიუჯეტირების ორი საკვანძო საყრდენია შუალედური და საბოლოო შედეგები. მათი არსის გასაგებად, მნიშვნელოვანია, დავინახოთ, რა საფეხურებს გავდივართ ჯერ შუალედურ, შემდეგ კი საბოლოო შედეგებამდე.

ქვემოთ მოცემულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის განაღობებით გამოყოფილი სამი მაგალითი, თუ როგორ განისაზღვრება და იზომება შუალედური და საბოლოო შედეგები. პირველ მაგალითში ამ შედეგებამდე მისასვლელად შვიდი საფეხურია გამოყოფილი, მომდევნო ორში კი – ხუთი. მაგალითებში წარმოდგენილია მხოლოდ შუალედური და საბოლოო შედეგების ინდიკატორები და არა ამ შედეგების მისაღწევი ღონისძიებები/საშუალებები ან მიზნები. ერთ-ერთი ღონისძიება/საშუალება სამივე მაგალითისთვის იქნებოდა სამაგიდო კვლევა + კარდაკარ შერჩევა.



**მაგალითი 4: შპს პირთა მენარმეობის განვითარების პროგრამა თბილისში, 7 საფეხური**

განვიხილოთ შემთხვევა, როცა, მაგალითად, თბილისის ბიუჯეტისთვის გვინდა შპს პირთა მენარმეობის განვითარების ქვეპროგრამისა და პროგრამის დამატება:

შინაარსიან და გაზომვად შუალედურ შედეგებამდე (რაც პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიით მოგვეთხოვება) ვერ მივალთ, თუ გამოვტოვებთ რომელიმე აუცილებელ ნაბიჯს; ასეთი შუალედური შედეგების გარეშე კი ვერც შინაარსიან და გაზომვად საბოლოო შედეგებამდე მივალთ.

შუალედური შედეგების განსაზღვრამდე გვჭირდება რამდენიმე საფეხურის გავლა. მოყვანილ მაგალითში ამისთვის გამოყოფილია სამი საფეხური: ნედლი მონაცემები, ე.წ. მეორე საფეხურის მონაცემები და პროცესის ნედლი ინდიკატორები.

**მიზანი:** შპს პირთა ეკონომიკური თვითრეალიზაცია თბილისში. მნიშვნელოვანია, ერთმანეთში არ აგვერიოს მიზანი და საშუალება, რაც ხშირია როგორც ადგილობრივ, ისე სახელმწიფო პროგრამულ ბიუჯეტებში. განხილულ მაგალითში კომპიუტერული უნარ-ჩვევების ამაღლების აქტივობები, ისევე, როგორც ამ აქტივობების ფონზე შერჩეულ შპს პირებზე დაკვირვება, იქნება საშუალება და არა მიზანი.

1. **ნედლი მონაცემები** – მაგალითად, ის შპს პირები, რომლებიც შეიძლება მოიცვას მუნიციპალურ ქრილში მენარმეობის განვითარების აქტივობებმა (მაგ: როგორცაა კომპიუტერული უნარ-ჩვევების ამაღლება და სხვა).
2. **მეორე საფეხურის მონაცემები** – მაგალითად, ის შპს პირები, რომლებიც მოიცვა მუნიციპალურ ქრილში მენარმეობის განვითარების აქტივობებმა (მაგ: ამ ინტერვენციის ფარგლებში გაიარეს ტრენინგი, მიიღეს რაიმე სახის ტექნიკური ან მატერიალური დახმარება და ა.შ.).
3. **პროცესის ნედლი ინდიკატორები** – მაგალითად, ის შპს პირები, რომლებმაც მართლაც აიმაღლეს კომპიუტერული უნარ-ჩვევები მუნიციპალურ ქრილში მენარმეობის განვითარების აქტივობებით.
4. **პირველი საფეხურის შუალედური ინდიკატორები** – მაგალითად, ის შპს პირები, რომლებმაც მუნიციპალურ ქრილში დაიწყეს საკუთარი გაუმჯობესებული კომპიუტერული უნარ-ჩვევების გამოყენება (მაგ: ადგილობრივ ან საერთაშორისო ბაზარზე ელექტრონულად იპოვეს მომწოდებლები და გასაღების ბაზარი, მონაწილეობა მიიღეს უცხო ქვეყნის სახელმწიფო ტენდერებში (bidding) და ა.შ.).
5. **მეორე საფეხურის შუალედური ინდიკატორები** – მაგალითად, ის შპს პირები, რომლებმაც საკუთარი გაუმჯობესებული კომპიუტერული უნარ-ჩვევებით გაზარდეს/დაიწყეს გაყიდვები მუნიციპალური ქრილში (მაგ: გაიმარჯვეს უცხო ქვეყნის სახელმწიფო ტენდერებში და ა.შ.).
6. **მესამე საფეხურის შუალედური ინდიკატორი** – მაგალითად, ის შპს პირები, რომელთა გაზრდილმა გაყიდვებმა, უცხო ქვეყნის სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებამ და ა.შ. გაზარდა ექსპორტი მუნიციპალურ ქრილში;
7. **საბოლოო შედეგის ინდიკატორი** – მაგალითად, აქტივობის განხორციელებიდან ოთხი წლის თავზე შპს მენარმეთა პროცენტული წილის ზრდა მთლიან შიდა პროდუქტში, რასაც შედეგად მოჰყვა ეკონომიკური ზრდა.

პირველი ხუთი საფეხურის შედეგები პროგრამის განმახორციელებელმა უნდა გაზომოს, მე-6 და მე-7 კი – საქსტატმა და ფინანსთა სამინისტრომ.

**მნიშვნა:** ხადგან პირველ მაგალითში გვაქვს ხოგოხც შუალედური, ისე საბოლოო შედეგები, ვახოციელებთ ხოგოხც ქვეპროგრამას, ისე პროგრამას (დაწვიდებითი ინფორმაციისთვის, იხ. ქვეთავები 1.1 და 1.3.3)

**მაგალითი 5: შპს პირთა მენარმეობის განვითარების ქვეპროგრამა მარნეულში, 5 საფეხური**

განვიხილოთ შემთხვევა, როცა, მაგალითად, მარნეულის ბიუჯეტისთვის გვინდა შპს პირთა მენარმეობის განვითარების ქვეპროგრამის დამატება. აქ და მომდევნო მაგალითში, ნაცვლად ზემოთ გამოყოფილი 7 საფეხურისა, შეგვიძლია შემოვიფარგლოთ 5 საფეხურით (შუალედური შედეგებით).



**მიზანი:** მარნეულში, ისევე როგორც თბილისში, შპს პირთა ეკონომიკური თვითრეალიზაცია. ბენეფიციარებისთვის კომპიუტერული უნარ-ჩვევების ამაღლება და მათზე დაკვირვება კი, როგორც აღვნიშნეთ, საშუალებაა და არა მიზანი.

1. **ნედლი მონაცემები** – მაგალითად, იმ შპს პირთა წრის განსაზღვრა, რომლებსაც შეიძლება ავუმადლოთ კომპიუტერული უნარ-ჩვევები: მარნეულში, 2022 წლის თებერვლის მდგომარეობით, 2699 შპს პირიდან რამდენს ვარჩევთ?<sup>45</sup> 18-45 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს: 2699-x= (პირობითად).
2. **მეოხე საფეხულის მონაცემები** – მაგალითად, ის შპს პირები, რომლებსაც ავუმადლებთ კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს: როგორ ვავიწროვებთ პირთა წრეს (600 ადამიანი/სქესის მიხედვით) შესაბამისი ფილტრებით?
  - პირველი საფეხური: გენდერული ნიშნით შეირჩა 300 ქალი;
  - მეორე საფეხური: შემოსავლების ნიშნით შეირჩა 200 ქალი (ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ბენეფიციარმა თავად გაიღოს ხარჯების გარკვეული ნაწილი, რაც გაზრდის საბოლოო შედეგის მფლობელობის განცდას);
  - მესამე საფეხური: ფიზიკური უნარებისა და დარღვევის სტატუსით შეირჩა 150 ქალი;
  - მეოთხე საფეხური: გასაუბრების პირველ საფეხურზე მოტივაციის ნიშნით შეირჩა 40 ქალი;
  - მეხუთე საფეხური: გასაუბრების ბოლო საფეხურზე 40 ქალიდან შეირჩა 20.
3. **პროცესის ნედლი ინდიკატორები** – ის შპს ქალები, რომლებმაც წარმატებულად გაიარეს კურსი (ტესტით): 10 ქალი.
4. **პიჩვედი საფეხულის შუადეფიცი ინდიკატორები** – ის შპს ქალები (7 ქალი), რომლებმაც:
  - 4.1. დაარეგისტრირეს ბიზნესი
  - 4.2. დაიწყეს გაყიდვები
  - 4.3. მოიძიეს პარტნიორები
5. **მეოხე საფეხულის შუადეფიცი ინდიკატორები** – ის შპს ქალები, რომლებმაც:
  - 5.1. მიიღეს შემოსავალი (5 ქალი)
  - 5.2. მიიღეს მოგება (4 ქალი)
  - 5.3. დაასაქმეს +1 ადამიანი (3 ქალი)

აქ ხუთივე საფეხურის შედეგები უნდა გაზომოს პროგრამის განმახორციელებელმა.

#### **მაგალითი 6: შპს პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის ქვეპროგრამა მარნეულში, 5 საფეხური<sup>46</sup>**

განვიხილოთ შემთხვევა, როცა, მაგალითად, მარნეულის ბიუჯეტისთვის გვინდა შპს პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის ქვეპროგრამის დამატება.

1. **ნედლი მონაცემები** – მაგალითად, იმ შპს პირთა წრის განსაზღვრა, რომლებსაც უნდა გააცნონ საკუთარი უფლებები და შეაფასონ, რამდენად დაცულია მათი უფლებები: პირველ ეტაპზე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შპს პირთა წრეს ვავიწროვებთ შერჩეული ასაკობრივი ზღვრით, მე-2 ეტაპიდან კი ვიწყებთ დამატებითი კრიტერიუმებით შერჩევას.
2. **მეოხე საფეხულის მონაცემები** – მაგალითად, ის შპს პირები, რომლებსაც გააცნეს საკუთარი უფლებები და შეაფასეს, რამდენად დაცულია მათი უფლებები: პირველი და მეორე საფეხურის რაოდენობებს შორის სხვაობა შესაძლოა გამოწვეული იყოს ზოგიერთი შერჩეული შპს პირის უარით ქვეპროგრამაში/პროგრამაში მონაწილეობაზე.
- 3.

45. 0-18 წლამდე შპს პირი - 375, მკვეთრად გამოხატული შპს პირი - 685, მნიშვნელოვნად გამოხატული შპს პირი - 1406, ზომიერად გამოხატული შპს პირი 233.

46. განსხვავებით კომპიუტერული წიგნიერების ამაღლებისგან, აქ, სავარაუდოდ, ხელოვნური ინტელექტი შედეგების გაზომვა 7 საფეხურის მიხედვით.

4. **პროცესის ნედრი ინდიკატორები** – ის შპს პირები, რომლებმაც გააცნობიერეს საკუთარი უფლებები (განსხვავებით კომპიუტერული უნარ-ჩვევების ამაღლებისგან, აქ, ტესტირების ნაცვლად, ბენეფიციარებთან შეიძლება გამოვიყენოთ ჩალრმავებული ინტერვიუ).
5. **პიხვედი საფეხუხის შუადეფუხი ინდიკატორები** – ის შპს პირები, რომლებმაც დაინყეს საკუთარი უფლებების დაცვა.
6. **მეოხე საფეხუხის შუადეფუხი ინდიკატორები** – ის შპს პირები, რომლებმაც წარმატებით მოახერხეს საკუთარი უფლებების დაცვა.

ამ შემთხვევაშიც ხუთივე საფეხურის შედეგები ქვეპროგრამის განმახორციელებელმა უნდა გაზომოს.

**შენიშვნა:** ხადგან მეოხე და მესამე მაგადითში გვაქვს მხოლოდ შუადეფუხი შედეგები, ვახოხციელებუთ ქვეპროგრამას და ახა პროგრამას (დაწვიხილებით ინფოხმაციისთვის, იხ. ქვეთავები 1.1 და 1.3.3).

## 4. კითხვა-კასუხი

### საკვანძო ცნებები ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტების გასაგებად

ქვემოთ ანბანური რიგის მიხედვით წარმოდგენილია კასუხები ყველაზე მნიშვნელოვან და საჭირო კითხვებზე, რაც დაგეხმარებათ ბიუჯეტის კანონისა და შესრულებაზე ანგარიშგების გაგებაში. ბიუჯეტში მოცემული თანხების სწორად წასაკითხად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ბიუჯეტის კანონ-

**შენიშვნა:** მინაწიხი ათას დახებში ნიშნავს, ხომ, მაგადითად, 5000 ათასი დახი ახის 5 მილიონი დახი; მინაწიხი მილიონ დახებში კი ნიშნავს, ხომ, მაგადითად, 5000 მილიონი დახი ახის 5 მილიარდი დახი. თუ ამგვახი მინაწიხი ახ გვაქვს, ხიცხვები ჩვეულებიხი უნდა წაიკითხოთ. სამივე შემთხვევა განვიხილოთ მაგადითებით:

ნსა ან შესრულების ანგარიშებს და თანდართულ დოკუმენტაციას ზედა მარჯვენა ან მარცხენა კუთხეში შეიძლება ჰქონდეს მინაწერი: ათას ლარებში ან მილიონ ლარებში.

#### ცხიილი 3

##### ათას დახებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
შემოსავლები	10,490,370.0	12,549,040.0	14,560,418.0

მაშასადამე, 2022 წელს დაგეგმილმა შემოსავლებმა შეადგინა თოთხმეტი მილიარდ ხუთას სამოცი მილიონ ოთხას თვრამეტი ათასი ლარი, 2021 წელს კი – თორმეტი მილიარდ ხუთას ორმოცდაცხრა მილიონ ორმოცი ათასი ლარი, ხოლო 2020 წელს ფაქტობრივი შემოსავლები უტოლდებოდა ათი მილიარდ ოთხას ოთხმოცდაათი მილიონ, სამას სამოცდაათი ათას ლარს.

#### ცხიილი 4

##### ათას დახებში

დასახელება	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი	38,400	40,300	37,800

მაშასადამე, 2018 წელს მთლიანმა შიდა პროდუქტმა შეადგინა ოცდათვრამეტი მილიარდ ოთხასი მილიონი ლარი, 2019 წელს – ორმოცი მილიარდ სამასი მილიონი ლარი, ხოლო 2020 წელს – ოცდაჩვიდმეტი მილიარდ რვაასი მილიონი ლარი.

**ცხიდი 5**

დასახელება	გეგმა	ვალდებულება	რესურსი	მოთხოვნა	გადახდა
ხარჯები	12,491,100,000.00	12,606,483,187.19	115,383,187.19	12,590,181,622.03	12,590,181,622.03

აქ რიცხვებს წაიკითხავთ ისე, როგორც წერია, მაგალითად, გეგმის გრაფაში: თორმეტი მილიარდ ოთხას ოთხმოცდათერთმეტი მილიონ ასი ათასი ლარი.

**შენიშვნა:** მძიმეებით მთელი ხიცხვები გამოიყოფა, წეხტილებით კი – ათწიდადები. თუ გვაქვს მინაწეხი ათას ლაებში ან მილიონ ლაებში, ეს ათწიდადებიც მთელ ხიცხვებად იქცევა, ხოლოც პიხვედი ოხი ცხიდი გვიჩვენებს, ხოლო მესამე ცხიდიში, სადაც ამგვარი მინაწეხი ახ გვაქვს, წეხტილებით გამოყოფილი ათწიდადები ლაჩება ათწიდადებად (მაგ: მე-5 ცხიდიის ვადებულების გრაფაში წეხტილის შემდეგ მდგომი 19 ნიშნავს ცხამეგ თეთხს).



**რა არის არაუინანსური აქვივეის კლუბა?**

ეს არის სახელმწიფო ქონების გასხვისებით მიღებული სახსრები.

**რა არის არაუინანსური აქვივეის ზრდა?**

სახელმწიფოს მიერ 500 ლარისა და მეტი ღირებულების ქონების შეძენა, რომელიც წელიწადზე მეტხანს მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება (მაგ: მაგიდა ან სხვა ნივთი, რომელიც ღირს 499 ლარი, ტარდება ხარჯებში, ნებისმიერი 500-ლარიანი ნივთი კი უკვე ქონებად, ანუ არაფინანსურ აქტივად მიიჩნევა).

**რა არის არაუინანსური აქვივეის ცვლილება?**

ეს არის არაფინანსური აქტივების ზრდისა და კლების სხვაობა.

**რა არის არაპირდაპირი გადასახადი?**

გადასახადი (დღგ, აქციზი და იმპორტის გადასახადი), რომელსაც ადგენენ შესაძენი საქონლის/მომსახურების ფასზე დანამატის სახით და იხდის მყიდველი.

**რა არის ასიგნება?**

ბიუჯეტიდან ნებისმიერი მიზნით გამოყოფილი თანხის ხარჯვის უფლებამოსილება (მაგ: რომელიმე პროგრამისთვის, ვალდებულებების დასაფარად და სხვა). ყველა ასიგნება ერთად გვაძლევს გადასახდელებს (გადასახდელის განმარტება იხ. ქვემოთ).



**რა არის ბიუჯეტის განწარმა?**

ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ყოველკვარტალური განწარმლება.

**რა არის ბიუჯეტი კაპიტალური?**

ძირითადად, იგულისხმება მსხვილი საინვესტიციო პროექტები, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეკონომიკურ განვითარებას.

ყველა კაპიტალური პროექტი, რომლებისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია დაფინანსება, უნდა უკავშირდებოდეს მთავრობის მიერ განსაზღვრულ რომელიმე პრიორიტეტს.

კაპიტალური პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ღირებულება უნდა იყოს, სულ მცირე, 50,000 ლარი, შექმნილი პროდუქტის გამოყენების ვადა კი – არანაკლებ 5 წელი;
- მანქანა-დანადგარებისა და სხვა აღჭურვილობის, ასევე, პროგრამული უზრუნველყოფის შეძენისას, ერთეულის ან მთლიანი პროექტის ღირებულება უნდა იყოს, სულ მცირე, 150,000 ლარი, ხოლო მათი გამოყენების ვადა -- არანაკლებ 3 წელი.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია აღწერს, თუ როგორ უნდა მომზადდეს კაპიტალური ბიუჯეტი, რომელიც პროგრამული ბიუჯეტის ნაწილია. კაპიტალური ბიუჯეტი წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცალკე დანართად.

### რა არის ბიუჯეტი ერთიანი?

სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების, მუნიციპალურ და სსიპების/აიპების ბიუჯეტთა კონსოლიდაცია, რომელსაც ხელისუფლების არცერთი წარმომადგენლობითი ორგანო არ ამტკიცებს.

### რა არის ბიუჯეტი ნაერთი?

სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალურ ბიუჯეტთა კონსოლიდაცია, რომელსაც ხელისუფლების არცერთი წარმომადგენლობითი ორგანო არ ამტკიცებს.

### რა არის ბიუჯეტი სახელმწიფო?

ბიუჯეტი, რომელსაც ამტკიცებს პარლამენტი. იგი მოიცავს იმ სახსრებს, რომელთაც მთავრობა მიიღებს და დახარჯავს წლის განმავლობაში თავისი ფუნქციებისა თუ ვალდებულებების შესასრულებლად, ნაშთის ცვლილების ჩათვლით (ნაშთის ცვლილების განმარტება იხ. ქვემოთ).

### რა არის ბიუჯეტი სანგრძობი?

სახელმწიფო და სსიპების/აიპების ბიუჯეტთა კონსოლიდაცია, რომელსაც ხელისუფლების არცერთი წარმომადგენლობითი ორგანო არ ამტკიცებს.

### რა არის ბიუჯეტის მთლიანი სალდო?

იგივე ბიუჯეტის დეფიციტი ან პროფიციტი. ამ ცნებათა გაგება გაცილებით მარტივია, ვიდრე ბევრ ადამიანს ჰგონია – ამისთვის საჭიროა სულ სამი მარტივი გამოკვლების შესრულება: შემოსავლებს გამოვაკლებთ ხარჯებს და გამოვაკლებთ ქონების გაყიდვასა და შეძენას შორის სხვაობას (ანუ არაფინანსური აქტივების ცვლილებას). თუ მივიღებთ უარყოფით რიცხვს, გვექნება ბიუჯეტის დეფიციტი, თუ მივიღებთ დადებითს – პროფიციტი.

მნიშვნელოვანია, შევხედოთ ერთიანი (და არა სახელმწიფო) ბიუჯეტის დეფიციტს, ვინაიდან, სახელმწიფო ბიუჯეტის გარდა, არსებობს ადგილობრივი და სსიპების/აიპების ბიუჯეტები. მთლიანი დეფიციტის გასაზომად, უნდა ავიღოთ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების, ანუ ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი, რაც, ეკონომიკური თავისუფლების აქტის მიხედვით, არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს.

ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი შეგიძლიათ ნახოთ სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად ფინანსურ და მაკროეკონომიკურ ინდიკატორთა დანართში.



### რა არის გალასახალი?

სავალდებულო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი (დღგ, საშემოსავლო, მოგების გადასახადი, აქციზი და ა.შ.).

**რა არის გალასხელება?**

განსხვავებით ხარჯებისგან, ეს არის მთლიანი სახსრები, რომელთა გამოყენებაც მთავრობას შეუძლია წლის განმავლობაში. კერძოდ:

1. ხარჯები:

- 1.1. შრომის ანაზღაურება
- 1.2. საქონელი და მომსახურება
- 1.3. პროცენტი
- 1.4. სუბსიდიები
- 1.5. გრანტები
- 1.6. სოციალური უზრუნველყოფა
- 1.7. სხვა ხარჯები

2. არაფინანსური აქტივების ზრდა

3. ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)

4. ვალდებულებების კლება (ვალის ძირის დაფარვაზე მიმართული სახსრები)

შესაბამისად, ხარჯები - როგორც ხშირად არასწორად ჰგონიათ - არ არის ის მთლიანი სახსრები, რომელთა გამოყენებაც მთავრობას წლის განმავლობაში შეუძლია (შედარებისთვის, იხ. შემოსულობების განმარტება).



**რა არის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა?**

დამტკიცებულ გეგმაში წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით კორექტირებული გეგმა.

**რა არის სახელმწიფო ბიუჯეტის დაგვიანებული გეგმა?**

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში მოცემული პარამეტრები, რომლებსაც პარლამენტი ამტკიცებს დეკემბრის ბოლომდე.

**რა არის დაგვიანებული ლიკვიდაციის გალასხელება (ლღე)?**

არაპირდაპირი გადასახადის ერთ-ერთი სახე, რომელსაც იხდის მომხმარებელი საქონლის ან მომსახურების შეძენისას.

**რა არის დაგვიანებული დაკრძობის და რაგომ ითხოვს თქვენს ყურადღებას?**

ეს არის სხვების (ბიზნესის, ფიზიკური პირების და ა.შ.) დავალიანება მთავრობის მიმართ. აქ მნიშვნელოვანია:

- 1. რომელ საბიუჯეტო დაწესებულებას რამდენი დებიტორული დავალიანება აქვს (ანუ როგორია მთელი დებიტორული დავალიანების ჩაშლა საბიუჯეტო დაწესებულებათა მიხედვით);
- 2. როდის დაასრულებს მომწოდებელი საბიუჯეტო დაწესებულებისთვის მომსახურებას/სამუშაოს შესრულებას ან საქონლის მიწოდებას;
- 3. რა ზომებს მიმართავს ფულის დასაბრუნებლად საბიუჯეტო დაწესებულება/მთავრობა, როცა მომსახურების/სამუშაოს შესრულების ან საქონლის მიწოდების იმედი აღარ არსებობს.

### 3

#### რა არის ვალდებულება?

სესხების აღება და მათი ძირის დაფარვა.

#### რა არის ვალდებულებების ზრდა?

სესხის აღება: ეკონომიკური თავისუფლების შესახებ კანონის მიხედვით, მთავრობის მიმდინარე და წინა პერიოდის ვალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 60%-ს.

#### რა არის ვალდებულებების კლება?

სესხის ძირის დაფარვა.

#### რა არის ვალდებულებების სვლილება?

სხვაობა ვალდებულებების ზრდასა და კლებას შორის.

### ი

#### ვინ არის იმპორტის გადსახალის გადამხდელი?

პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა (თუ რომელი საქონელი იბეგრება და რა განაკვეთებით, ასევე, რომელი შეღავათებით შეიძლება სარგებლობა, იხ. საგადასახადო კოდექსის 195-199 მუხლებში).

### კ

#### რა არის კრედიტორული ლაჟალიანება?

მთავრობის დავალიანება სხვების (ბიზნესის, ფიზიკური პირების და ა.შ.) მიმართ.

### ნ

#### რა არის ნაშთი?

შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე გარკვეული პერიოდისთვის არსებული ფულადი სახსრები.

#### რა არის ნაშთის სვლილება?

შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება.

#### როლის გროვლება ნაშთი?

როდესაც შემოსულობები მეტია გადასახდელებზე.

#### როლის გამოიყენება ნაშთი?

როდესაც შემოსულობები ნაკლებია გადასახდელებზე.



## 3

**რა არის პირდაპირი გადამხდელი?**

გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო უშუალოდ ამოიღებს გადამხდელის შემოსავლიდან და ქონებიდან (მაგ: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი და ქონების გადასახადი).

**რა არის პირდაპირი ვალდებულება?**

- შესაძლო ვალდებულება ან ზარალი, წარმოქმნილი წარსული მოვლენის ან გადაწყვეტილებისგან, რომელიც არ არის ამ ვალდებულების შემსრულებლის ან დაზარალებულის სრული კონტროლის ქვეშ (მაგ: სასამართლო დავა).
- ამჟამინდელი ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს წარსული მოვლენებისგან, მაგრამ არ არის აღიარებული, რადგან:
  - ნაკლებ სავარაუდოა, რომ ვალდებულებათა დასაფარად საჭირო გახდება რაიმე რესურსის გადინება;
  - ვერ ხერხდება ვალდებულებათა თანხის შეფასება საფუძვლიანად და საიმედოდ.

## ს

**რა არის საბიუჯეტო (ფისკალური) წელი?**

იგივე, რაც კალენდარული წელი.

**რა არის საბიუჯეტო პროცესი?**

ამ პროცესში შედის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა, დამტკიცება, დაზუსტება, ბიუჯეტის შესრულება, ანგარიშგება და კონტროლი.

**რა არის საბიუჯეტო განაცხადი?**

დოკუმენტი, რომლითაც საბიუჯეტო მხარჯავი დაწესებულებები გეგმავენ საკუთარ ბიუჯეტს და ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარუდგენენ არაუგვიანეს 1 სექტემბრისა.

**რა არის საერთო სახელმწიფო ბიუჯეტის გადამხდელი?**

ამ გადასახადებს მიეკუთვნება: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი და იმპორტის გადასახადი.

**რა არის საკადასტრო ბალანსი?**

საქართველოსა და ყველა სხვა ქვეყანას შორის განხორციელებული ფულადი ტრანზაქციების შედეგი. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია იმპორტი, ექსპორტი და შემოსავალი ინვესტიციებიდან. ექსპორტი და ინვესტიციების შემოსავალი აუმჯობესებს საგადასახადო ბალანსს, ხოლო იმპორტი – აუარესებს.

რადგან საქართველოს იმპორტი აღემატება ექსპორტს, ჩვენი სავაჭრო ბალანსი, ტრადიციულად, უარყოფითია. საგადასახადო ბალანსის დეფიციტის დაბალანსება შესაძლებელია ინვესტიციებით, სხვა ქვეყნისგან ვალის აღებით ან, უკიდურეს შემთხვევაში, ეროვნული ბანკის რეზერვების გამოყენებით.

**რა არის საერთო სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი გადამხდელი?**

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებათა მომსახურება და დაფარვა
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებათა მომსახურება და დაფარვა
- მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდები

4. რეგიონებში განსახორციელებელ პროექტთა ფონდი
5. წინა წლებში წარმოქმნილ დავალიანებათა დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების ფონდი
6. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები
7. სხვა კატეგორიები, განსაზღვრული წლიური ბიუჯეტით

**რა არის საქონლბაზა?**

ფულადი ოპერაცია, კერძოდ, ანგარიშიდან ფულის გადახდა/გადარიცხვა (შეადარეთ ქვემოთ წარმოდგენილ ფაქტობრივ ხარჯს).

**რა არის მთლიანი საფინანსო რესურსი?**

შემოსულობებს პლუს ნაშთი – ანუ სახსრები, რომელთა გამოყენებასაც მთავრობა წლის განმავლობაში გეგმავს.

**რა არის მთავრობისა და პრეზიდენტის საკუთრივ ფონდები?**

ეს ფონდები იქმნება იმ დონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტით. ორივე ფონდის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით განსაზღვრულ ასიგნებათა მთლიანი ოდენობის 1%-ს. სარეზერვო ფონდების მთლიანი მოცულობის გაზრდა შესაძლებელია თითოეული სარეზერვო ფონდის დამტკიცებული მოცულობის არაუმეტეს 20%-ით. 2019 და 2020 წლის ბიუჯეტებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი აღარ არის გათვალისწინებული.

**რას მოიცავს საქონელი და მომსახურება?**

ამ ცნებაში ერთიანდება: ოფისის ხარჯები, მივლინებები, კომუნალური ხარჯები, შტატგარეშე მომუშავე პირთა შრომის ანაზღაურება, წარმომადგენლობითი ხარჯები, კვების ხარჯები, სამედიცინო ხარჯები, სხვა საქონელი და მომსახურება და ა.შ.

**რა არის სუბსიდიები?**

მიმდინარე მიზნებისთვის, სახელმწიფოს მიერ უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემული თანხები საწარმოებსა და ორგანიზაციებზე.

**რა არის სხვა შემოსავლები?**

სახსრები, რომლებიც მიღებულია შემდეგი წყაროებიდან: პროცენტები, დივიდენდები, რენტა, სანქციები, ჯარიმები, საურავები, ადმინისტრაციული მოსაკრებლები, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება, ჰუმანიტარული დახმარებები და სხვა.

**რა არის „სხვა ხარჯები“?**

1. ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა
  - 1.1. არარეზიდენტების დივიდენდები
  - 1.2. რეზიდენტების დივიდენდები
  - 1.3. კვაზი-კორპორაციების მიერ გადახდილი მოგება
  - 1.4. ინვესტირებულ საკუთრებაზე გადახდილი სარგებელი
  - 1.5. რენტა
  - 1.6. ხარჯები რეინვესტირებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე
2. ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული
  - 2.1. მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული
    - 2.1.1. სასამართლოებისა და სხვა კვაზი-სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული სააღსრულებო ხარჯი

- 2.1.2. შენობა-ნაგებობის დაზღვევის ხარჯი
  - 2.1.3. დანადგარების დაზღვევის ხარჯი
  - 2.1.4. სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი
  - 2.1.5. პერსონალის დაზღვევის ხარჯი
  - 2.1.6. დაზღვევის სხვა ხარჯები
  - 2.1.7. მოსწავლეთა ვაუჩერების ხარჯი
  - 2.1.8. სახელმწიფო სასწავლო გრანტების ხარჯი
  - 2.1.9. სახელმწიფო სასწავლო სტიპენდიების ხარჯი
  - 2.1.10. პრეზიდენტის სახელობის გრანტების ხარჯი
  - 2.1.11. პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიების ხარჯი
  - 2.1.12. პრეზიდენტის სახელობის სამეცნიერო გრანტების ხარჯი
  - 2.1.13. სხვა სახელობის სტიპენდიებისა და გრანტების ხარჯი
  - 2.1.14. სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი
  - 2.1.15. გადასახადები (გარდა საშემომოსავლო და საქონლის ღირებულებაში აღრიცხული დღის)
  - 2.1.16. მოსაკრებლები
  - 2.1.17. საკომისიოები
  - 2.1.18. სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული
- 2.2. კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული
3. დაზღვევის (სიცოცხლის დაზღვევის გარდა) და სტანდარტული გარანტიის სქემით გადასახდელი პრემიები, გადახდები და მოთხოვნები
- 3.1. სადაზღვევო პრემიები, ჩარიცხვები და მოთხოვნები
    - 3.1.1. სადაზღვევო პრემიები
    - 3.1.2. სტანდარტული გარანტიის სქემის გადახდები
    - 3.1.3. მიმდინარე მოთხოვნები
  - 3.2. კაპიტალური მოთხოვნები

„სხვა ხარჯების“ მუხლი ჩაშლილია ბიუჯეტის დანართში: „ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ღონისძიებების ფარგლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლიდან განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ (ჩაშლა დაიწყო 2013 წლიდან, რაც საშუალებას გაძლევთ, თვალი მიადევნოთ, თუ რისი დაფინანსება იგეგმება ამ მუხლით).

## რა არის საოპერატიული საფასური?

სხვაობა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის.



## ფინანსური აღგზნება მუნიციპალიტეტისთვის: ღრ-ის განაწილების ახალი წესი

გათანაბრებითი ტრანსფერის ნაცვლად, 2019 წლიდან თითოეული მუნიციპალიტეტი, ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს გარკვეულ წილს დამატებული ღირებულების გადასახადის 19%-დან (შესაბამისი ცხრილი მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მე-7 თავში).

დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების ახალმა სისტემამ ჩაანაცვლა გათანაბრებითი ტრანსფერი. ამ სისტემაზე გადასახადებზე გარდამავალი პერიოდია 2019-2023 წწ.

დამატებული ღირებულების გადასახადის 19%-დან თითოეული მუნიციპალიტეტს განესაზღვრა წილი. რომელ მუნიციპალიტეტში რამდენი პროცენტი წავა, დადგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის მე-7 თავში.

**რა არის მიზნობრივი ზრანსუარი?**

დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები თვითმმართველი ერთეულისთვის.

**რა არის სპეციალური ზრანსუარი?**

ტრანსფერი, რომელიც გამოიყოფა სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიებისა და საგანგებო სიტუაციების შედეგების/ზიანის სალიკვიდაციოდ, აგრეთვე, სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად. სპეციალური ტრანსფერი ადგილობრივ თვითმმართველობას შეიძლება გამოუყოს სახელმწიფო ბიუჯეტმა, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტმა, ან სხვა ადგილობრივმა თვითმმართველობამ.

**რა არის კაპიტალური ზრანსუარი?**

კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად განეული ფინანსური დახმარება, რომელიც ზრდის ტრანსფერის მიმღების ქონებას, ანუ არაფინანსურ აქტივებს. ასეთი ტრანსფერი ადგილობრივ თვითმმართველობას შეიძლება გამოუყოს სახელმწიფო ბიუჯეტმა, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტმა ან სხვა ადგილობრივმა თვითმმართველობამ. კაპიტალური ტრანსფერები გაიცემა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (იხ. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მე-8 თავის მე-18 მუხლი) და სხვა წყაროებიდან.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები დამტკიცებულია მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N223 დადგენილებით. აღნიშნული ფონდიდან თანხა გამოიყოფა თვითმმართველი ერთეულის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში, რის წესსაც განსაზღვრავს მთავრობა.



**რა არის ფუნქციონალური კლასიფიკაცია?**

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მე-3 თავის მე-9 მუხლის თანახმად, ფუნქციონალური კლასიფიკაცია გვაძლევს ცალკეული დარგებისა და ამ დარგების სექტორთა დაფინანსებას. ბიუჯეტის კანონის (მე-3 თავის მე-9 მუხლი) ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიძლება არ იყოს წარმოდგენილი ყველა სექტორის დაფინანსება, თუმცა თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია ნებისმიერი სექტორის დაფინანსებაზე შეგიძლიათ გამოითხოვოთ ფინანსთა სამინისტროსგან.

## 1. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა

ფინანსური და ფისკალური საქმიანობა

საგარეო ურთიერთობები

საგარეო ეკონომიკური დახმარება

საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება

საერთო დანიშნულების მომსახურება

საერთო საკადრო მომსახურება

საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება

საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება

ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები

გამოყენებითი კვლევები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში

ვალთან დაკავშირებული ოპერაციები (არ შედის ვალის ძირითადი ნაწილის დაფარვა. შედგება მხოლოდ ვალის საპროცენტო მომსახურებისა და კრედიტების საგარანტიო ხარჯების, ასევე, სახელმწიფო დაწესებულებათა ვალდებულებების რესტრუქტურირებისა და დაკავშირებული ხარჯებისგან)

საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში

## 2. თავდაცვა

შეიარაღებული ძალები

სამოქალაქო თავდაცვა

გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში

## 3. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა

სახანძრო-სამაშველო სამსახური

სასამართლოები და პროკურატურა

სასჯელაღსრულების დაწესებულებები

გამოყენებითი კვლევები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში

## 4. ეკონომიკური საქმიანობა

საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა

საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა

შრომით რესურსებთან დაკავშირებული საკითხები

სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა



სოფლის მეურნეობა
სატყეო მეურნეობა
მეთევზეობა და მონადირეობა
სათბობი და ენერგეტიკა
ნახშირი და სხვა სახის მყარი მინერალური საწვავი
ნავთობი და ბუნებრივი აირი
ბირთვული საწვავი
სხვა სახის საწვავი
ელექტროენერგეტიკა
არაელექტრული ენერჯია
სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა
მინერალური რესურსების მოპოვება, მინერალური საწვავის გარდა
გადამამუშავებელი მრეწველობა
მშენებლობა
ტრანსპორტი
საავტომობილო ტრანსპორტი და გზები
საზღვაო ტრანსპორტი
სარკინიგზო ტრანსპორტი
საჰაერო ტრანსპორტი
მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები
კავშირგაბმულობა
ეკონომიკის სხვა დარგები
ვაჭრობა, მარაგების შექმნა, შენახვა და დასაწყობება
სასტუმროები და რესტორნები
ტურიზმი
მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები
გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში
გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში
გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და მონადირეობაში
გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერგეტიკაში
გამოყენებითი კვლევები სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში
გამოყენებითი კვლევები ტრანსპორტის სფეროში
გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში
გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში

## 5. გარემოს დაცვა

ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება

ჩამდინარე წყლების მართვა

გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა

ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა

გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში

## 6. საბინაო-კომუნალური მეურნეობა

ბინათმშენებლობა

კომუნალური მეურნეობის განვითარება

წყალმომარაგება

გარე განათება

გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში

## 7. ჯანმრთელობის დაცვა

სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები

ფარმაცევტული პროდუქცია

სხვა სამედიცინო პროდუქცია

თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები

ამბულატორიული მომსახურება

ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება

სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება

სტომატოლოგიური მომსახურება

საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება

სავადმყოფოების მომსახურება

ზოგადი პროფილის სავადმყოფოების მომსახურება

სპეციალიზებული სავადმყოფოების მომსახურება

სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება

სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

## 8. დასვენება, კულტურა და რელიგია

მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში

მომსახურება კულტურის სფეროში

ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა
რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა
გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში

**9. განათლება**

სკოლამდელი აღზრდა
ზოგადი განათლება
დანყებითი ზოგადი განათლება
საბაზო ზოგადი განათლება
საშუალო ზოგადი განათლება
პროფესიული განათლება
უმაღლესი განათლება
უმაღლესი პროფესიული განათლება
უმაღლესი აკადემიური განათლება
უმაღლესი განათლების შემდგომი განათლება
განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება
გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში

**10. სოციალური დაცვა**

ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა
ავადმყოფთა სოციალური დაცვა
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა
ხანდაზმულთა სოციალური დაცვა
მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა
ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა
უმუშევართა სოციალური დაცვა
საცხოვრებლით უზრუნველყოფა
სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას
გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში

### რა არის ფინანსური აქტივობა?

სახსრები, რომლებსაც სარგებელი უნდა მოჰქონდეს. ფინანსურ აქტივებზე ოპერაციებში შედის სესხების გაცემა, მათი დაბრუნება, ხაზინის ანგარიშებზე ფულის დაგროვება და გამოყენება, ასევე, ფასიანი ქაღალდების შექმნა და მათი გაყიდვა.

ფინანსურ აქტივების საპარლამენტო საბიუჯეტო ზედამხედველობისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ფინანსური მოთხოვნები. ამ მოთხოვნათა ყველაზე პრობლემური მაგალითია დებიტორული დავალიანებები, რომელთა მოცულობაც სრულად შეფასებული არ არის.

### რა არის ფინანსური აქტივების ზრდა?

ამ ცნებაში ძირითადად იგულისხმება სახელმწიფოს მიერ სესხის გაცემა.

### რა არის ფინანსური აქტივების კლება?

ამ ცნებაში ძირითადად იგულისხმება სახელმწიფოს მიერ გაცემული სესხის უკან დაბრუნება.

### რა არის ფინანსური აქტივების სვლილება?

ფინანსური აქტივების ზრდას მინუს კლება.

### რა არის ფინანსური პოლიტიკა?

მთავრობის გადაწყვეტილებები დანახარჯებთან, გადასახადებსა და ვალთან დაკავშირებით. ფისკალური პოლიტიკის გამოყენება შესაძლებელია ეკონომიური ზრდის ხელშესაწყობად და განსაკუთრებით აქტუალურია იმ ქვეყნებისთვის, სადაც ეკონომიური ზრდა განვითარების უმთავრესი გამომწვევაა.

### რა არის ფაქტობრივი ხარჯი?

ხარჯი, რომლის გადახდის ვალდებულებაც აღიარა დამკვეთმა ორგანიზაციამ (კონტრაქტით ან სხვა დოკუმენტით), მაგრამ ჯერ არ გადაუხდია, უკვე გადახდილი ხარჯი კი არის საკასო ხარჯი.

მაშასადამე, ფაქტობრივი ხარჯი გაიწევა მაშინ, როცა მას აღიარებს დამკვეთი ორგანიზაცია, საქონლის მიწოდების ან რაიმე მომსახურების/სამუშაოს შესრულების შემდეგ, მაგრამ შემსრულებლის/მომწოდებლისთვის ფული ჯერ არ გადაუხდია (შეადარეთ ზემოთ საკასო ხარჯს).

### რა ქონებაზე ვინაობა გვაქვს?

ქონების გადასახადი ერთადერთი ადგილობრივი საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადია.

ფიზიკური პირებისთვის ქონების გადასახადით იბეგრება:

- საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მათ შორის, დაუმთავრებელი მშენებლობა, შენობა-ნაგებობა ან მათ ნაწილი), მსუბუქი ავტომობილები, იახტები (კატარლები), შვეულმფრენები და თვითმფრინავები;
- არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებული ქონება;
- ეკონომიკური საქმიანობის შემთხვევაში, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები და მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება.

ფიზიკური პირებისა და საწარმოებისათვის მინაზე ქონების გადასახადით იბეგრება:

- საკუთრებაში არსებული მიწა;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწა, რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს იგი;
- მფლობელობას ან/და სარგებლობაში არსებული, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის ნაკვეთით სარგებლობს იჯარის, ქირის, უზუფრუქის ან სხვა მსგავსი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.



### რა არის შემოსულოგაგი?

განსხვავებით შემოსავლებისგან, ეს არის მთლიანი სახსრები, რომელთა მიღებასაც მთავრობა წლის განმავლობაში აპირებს. შემოსულოგებში შედის:

1. შემოსავლები
2. არაფინანსური აქტივების კლება (ქონების გაყიდვა)
3. ფინანსური აქტივების კლება (გაცემული სესხის დაბრუნება)
4. ვალდებულებების ზრდა (სესხის აღება)

### რას მოიცავს შემოსავლები?

შემოსავლებში შედის:

1. გადასახადები
2. გრანტები
3. სხვა შემოსავლები

შესაბამისად, შემოსავლები - როგორც ხშირად არასწორად ჰგონიათ - არ არის მთლიანი სახსრები, რომელთა მიღებასაც მთავრობა წლის განმავლობაში აპირებს.



რა არის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD)?

ეს არის მთავრობის საშუალოვადიანი (ოთხწლიანი) გეგმა, რომელიც მოიცავს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრიორიტეტებსა და ამოცანებს. მუნიციპალურ დონეზე მას შეესაბამება პრიორიტეტების დოკუმენტი.

მთავრობა, არაუგვიანეს 10 ივლისისა, იწონებს BDD-ის პირველად ვარიანტს, რომელსაც ფინანსთა სამინისტრო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს. ეს დოკუმენტი პარლამენტს მოგვიანებით წარედგინება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად, თუმცა კომიტეტებს ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნებამდე თითქმის სამი თვით ადრე შეუძლიათ გაცნობა როგორც მომავალი წლის, ისე მისი მომდევნო სამი წლის ბიუჯეტის ყველაზე მნიშვნელოვან მონაცემებსა და მაკროეკონომიკურ პროგნოზებთან (მაგ: 2023 წლის ბიუჯეტის პროექტს დაერთვება 2024-2027 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი).

BDD ყოველწლიურად ახლდება და მასში წარმოდგენილია:

ძირითადი მაკროეკონომიკური და ფინანსური პარამეტრები. ბიუჯეტს ახლავს ამ პარამეტრების საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური ვარიანტები. ის იგეგმება საბაზისო პარამეტრების მიხედვით.

ბიუჯეტის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლები წინა წლის, მიმდინარე წლისა და მომდევნო სამი წლისთვის, რაც დაგანახებთ ამ პარამეტრების დინამიკას ხუთწლიან პერსპექტივაში.

მხარჯავ დაწესებულებათა მიერ განსახორციელებელი პროგრამები და მათი დაფინანსება ოთხწლიანი პერიოდისთვის (მომავალი წელი, პლუს მისი მომდევნო 3 წელი. მაგ: 2023 წლის 10 ივლისამდე მოწონებული BDD მოიცავს 2024, 2025, 2026 და 2027 წლებს).

მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები, ასევე, მათ მიერ დაგეგმილი პროგრამები, შესაბამის დაფინანსებასთან ერთად.



## დანართი #1

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშიდან

- შპს პირთა სტატუსის დასადგენად სამედიცინო მოდელით შეგროვებული სტატისტიკური მონაცემები ვერ უზრუნველყოფდა სრულყოფილ და სათანადო ინფორმაციას შპს პირთა პოლიტიკისა და პროგრამების დასაგეგმად. ახალი სოციალური მოდელის პილოტირება და დანერგვა ჯერ კიდევ 2010 წლიდან იყო გათვალისწინებული სხვადასხვა სამთავრობო სამოქმედო გეგმით, თუმცა პროცესი აჭარის რეგიონში მხოლოდ 2019 წელს დაიწყო. შედეგად, სოციალური მოდელი კვლავაც არ დანერგულა და ჯანდაცვის სამინისტროს არ ეძლევა საშუალება, ინდივიდუალური სტატისტიკა აწარმოოს შპს პირთა საჭიროებებზე და უფრო ოპტიმალურად დაგეგმოს შესაბამისი ქვეპროგრამები.
- შპს პირთა რაოდენობაზე არსებული ინფორმაცია არ არის სრულყოფილი. ჯანდაცვის სამინისტროს ბაზები ინფორმაციას შეიცავს მხოლოდ სოციალური დახმარების მიმღებ პირებზე. შესაბამისად, ამ მონაცემებში ვერ ხვდებიან ადამიანები, რომლებზეც არ გაიცემა სოციალური პაკეტი (მაგ: ზომიერი შეზღუდვის მქონე შპს პირები).
- სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ფორმები არ შეიცავს ველს ყველა სახის ქმედობაუნარიანობაზე ინფორმაციის შესატანად, რის გამოც მათში არ აისახება ყველა კატეგორიის ქმედუნარიანობის შეფასების შედეგები. რიგ ქმედუნარიანობებზე ინფორმაცია შევსებულია, თუ საქმე ეხება რომელიმე დამხმარე საშუალების გაცემის საფუძველს (მაგ: გადაადგილებისა და სმენის შეზღუდვას). ასევე აღსანიშნავია სამედიცინო პერსონალის უნარების ნაკლებობა საჭიროებათა იდენტიფიცირების კუთხით: მათ მხოლოდ სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება შეუძლიათ. შედეგად, შევსებული ფორმებიდან შეუძლებელია სრულყოფილი ინფორმაციის მიღება შპს პირთა ქმედუნარიანობის შეზღუდვებზე, რომლებიც განერილია კანონით.
- სამინისტროს არ აქვს დანერგილი მექანიზმი, რომლითაც ინფორმაცია შეგროვდება სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარების უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებებიდან. შედეგად, მას არ მიუწვდება ხელი პროგრამების უკეთ დაგეგმვისთვის საჭირო კონსოლიდირებულ და განახლებულ მონაცემებზე (მაგ: ქმედუნარიანობის შეზღუდვა, დიაგნოზები და ა.შ.)
- რეაბილიტაციისა და ადრეული განვითარების ქვეპროგრამები არ არის სრულად ხელმისაწვდომი მთელი ქვეყნის მასშტაბით. სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთად, ამას ნაწილობრივ განაპირობებს სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს შორის სუსტი კოორდინაცია სოციალური სერვისების განსავითარებლად.
- დამხმარე საშუალებათა ქვეპროგრამის დიზაინი არ მოიცავს ადგილზე მომსახურებას რეგიონის მოსახლეობისთვის (გარდა ელექტრო სავარძელ-ეტლების მინოდებისა). შესაბამისად, მისი დაგეგმვის ეტაპზე არ არის გათვალისწინებული ტერიტორიული ხელმისაწვდომობა სხვა დამხმარე საშუალებებთან მიმართებით და მათ მისაღებად საჭიროა, სულ მცირე, ორი ვიზიტი მიმწოდებელთან.



შეზღუდული შესაძლებლობის  
მქონე პირებზე ორიენტირებული  
ადგილობრივი ბიუჯეტირება

გზამკვლევი

